№ 3 საამდგომო საგანმანათლებლო ბიბლიოთეკა № 3
„ᲙᲝᲚᲮᲘᲓᲐ“
ქუთაისში.

Ზ. ᲮᲣᲑᲣᲢᲘ

ᲪᲘᲡᲙᲐᲠᲘ

(ლექსები)

შეკრიბა შეკუნეშილი გაპოეტ

ᲬᲘᲗᲔᲚᲘ ᲬᲘᲗᲔᲚᲘ

ქუთაისი
ᲛᲔᲠᲐᲯᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲙᲐᲠᲜᲐᲣᲮᲝᲕᲘᲡ ᲑᲔᲭᲓᲘᲡ
1908

დაჩაგრულთა პოეტი.

როდესაც საზოგადოება დაყოფილია სხვადასხვა კლასებათ, ყოველ შეხედულობას, ყოველ მისწრაფებას, ყოველ მოძღვრებას კლასობრივი ელფერი ადევს. კლასობრივი აზროვნების გამომხატველი განსაკუთრებით მწერლობა არის.

არისტოკრატულმა მიმართულებამ ღრმა კვალი დასტოვა ჩვენს სიტყვაკაზმულ მწერლობაში; დემოკრატულ მიმდინარეობასაცა ჰყავს საკმაო წარმომადგენლები. ამ მხრივ ჩვენში ყველაზე უფრო კოკლობს სოციალდემოკრატიული მიმართულების სიტყვაკაზმული მწერლობა.

ლექსების წერა ჩვენს ცხოვრებაში სნეულებათ არის გადაქცეული; ლექსებს მარტო ისინი კი არა სწერენ, ვისაც პოეტის ახლოსაც არ გაუვლია, არამედ ისინიც კი, ვისაც ლექსთა წყობის მარტივი კანონებიც კი არა აქვს რიგიანათ გათვალისწინებული. ნამდვილი პოეტები კი ორი—სამი თუ გვყავს,—მეტი არა.

როგორ და რანაირათაც უნდა ჩნდებოდეს ესა თუ ის იდეია, ერთი რამ უტყუარია: იდეის გარეშე არ არის ბრძოლა, არ არის წინმსვლელობა ვერასფერი ვერ აამხედრებს, ვერ აამოძრავებს ამა თუ იმ კლასს მანამდე, სანამ ის იდეიაში არ ჩამოყალიბდება. ეჭვს

ვარეშეა, ესა თუ ის იდეია ციდან **კი არა** სცვივა, ის ცხოვრების გულში ისახება ეკონომიური პირობების ზეგავლენით, მაგრამ ცხოვრებასა და ადამიანის გულს შუა-შუამავალი მხოლოთ იდეია არის. სანამ ცხოვრების მოთხოვნილებანი არ ჩამოყალიბდებიან ამა თუ იმ იდეიაში, ხალხის გული უგრძნობელია, გონება დახშული. როცა ეს იდეია ჩასწვდება ხალხს გულში და გააცისკროვნებს გონებას, მხოლოთ მაშინ იწყება მუშაობა უკეთესი მომავლისათვის.

ცხოვრების წინმსვლეობაში იდეიას განუზომელი მნიშვნელობა აქვს; ამიტომ დიდი მნიშვნელობა აქვს ყოველისფერს, რაც იდეის გავრცელებასა და შესისხლხორცებას ხელს უწყობს. პოეზიის სარგებლობა და დანიშნულება სწორეთ ამაში მდგომარეობს: იდეია პოეზიისა მუსიკით შეიარაღებული ყოველი ადამიანის გულსა და გონებას იმორჩილებს.

მუშა ხალხისათვის, რომელსაც საკუთარი მისწრაფება აქვს, საკუთარი მიზანი, საკუთარი პოეზია აუცილებელ საჭიროებას შეადგენს. მუშა ხალხს უნდა ჰყავდეს საკუთარი პოეტები, რომელთა რიცხვიც ჩვენში სამწუხაროთ ფრიათ მცირეა. ამათ შორის საპატიო ადგილს დაიკავებს ახალგაზრდა პოეტი ვარლამ რუხაძე.

ვარლამ რუხაძე დაიბადა 1874 წელს ს. ქვიტირში (ქუთაისის მაზრა). ვარლამის მამა იყო მეღვინე და ქუთაისში სამიკიტნო დუქანი ქონდა. ცხრა წლამდე ბავში სოფელში იზრდებოდა. რვა წლისა რომ

გახდა, დედამ დაუწყო წერაკითხვის სწავლება. სახელმძღვანელოს დაბეჭდილი წიგნი კი არ შეადგენდა, არამედ მონაწერი წერილები. პატარა ვარლამი მეტათ ცელქი და დაუდგრომელი იყო, ანბანის გაზეპირებამ ის ვერ დაინტერესა და დედის მეცადინეობამ უნაყოფოთ ჩაიარა. როცა ზაფხულზე სოფლათ ჩამოვიდა ბართლომე მოსეშვილი, რომელიც მაშინ სემენარიაში სწავლობდა, ვარლამი მას მიაბარეს, როგორც ნათესავს და ამგვარათ ვარლამმა წერაკითხვა ისწავლა. როცა ვარლამმა დაინახა, თუ როგორ შენდებოდა ასოებიდან სიტყვა და სიტყვებიდან აზრი, ის ძალიან დაინტერესდა, კითხვა შეუყვარდა. რადგანაც ხელმძღვანელი არა ჰყავდა, ის კითხულობდა ყოველისფერს, რაც კი ხელში ჩაუვარდებოდა. ვარლამის მამა სწავლა განათლებას მაინც და მაინც დიდ მნიშვნელობას არ ამისებდა. მე არაფერი მისწავლია, მაგრამ პურს ვჭამო, ამბობდა ხოლმე ის. მან გადასყვიტა, შვილიც თავის ხელობაზე გაეზარდა, ამიტომ ცხრა წლის ვარლამი ქუთაისში წაიყვანა თავის სამეკიტნოში. ვარლამს აქ ხელში ჩაუვარდა აკაკის და ილიას ლექსები, ყარამანიანი, არსენას ლექსი და სხვ. კითხვამ ის კიდევ უფრო გაიტაცა, მაგრამ სამეკიტნოს პირობები და მოქეიფეთა ღრიალი პატარა ვარლამს ხელს უშლიდენ და თვითგანვითარების ნებას არ აძლევდენ. 1886 წელს ვარლამის მამამ სამეკტნოს

თავი დანება, რადგანც საქმე ცუდათ წაუვიდათ და სოფელში დაბრუნდა.

ვარლამი ორ წელწადს დარჩა სოფლათ და ამ ხნის განმავლობაში არაფერი არ წაუკითხავს, რადგანაც წიგნებს ვერა შოულობდა. შემდეგ ის განშორდა სოფელს და ცხრა წლის განმავლობაში მსახურებდა სხვადასხვა ალაგს—ფოთში, სოხუმში, ბათუმში. ამ ხნის განმავლობაში ვარლამს დღისით თითქმის სრულებით არა ჰქონია მოცალეობა და იძულებული იყო სწავლის სურვილი ღამე დაეკმაყოფილებია ხოლმე: როცა საქმე გათავდებოდა და ყველა ძილს მიეცემოდა, ვარლამი მაშინ დაიწყებდა კითხვას და ხშირათ მთელი ღამეები გაუტარებია წერაკითხვაში. 1897 წელს ვარლამი დაბრუნდა ისევ ქუთაისს და ამხანაგთან ერთათ გახსნა ღვინის საწყობი. აქ მას მეტი დრო ჰქონდა თვითგანვითარებისათვის. 1902 წელს ვარლამი ბათუმში გადასახლდა და დღესაც იქა სცხოვრობს.

ვარლამმა ლექსების წერა დაიწყო 1892 წელს. რადგანაც პირველ ხანებში ვარლამი ჩვენი ვიწრო პატრიოტული მწერლობის ზეგავლენის ქვეშ იმყოფებოდა, იმტომ მისი ნაწერებიც ამგვარი მიმართულებისა იყო. ამ ხანას ეკუთვნის ,,ცხვრები და დათვი'', დანარჩენი ლექსები კი არ დაუბეჭდია. 1898 წლიდგან ვარლამ რუსაძის პოეზიაში იწყება ახალი ხანა, რომელიც ახასიათებს მას, როგორც მუშა

ხალხის მისწრაფებათა გამომხატველს.

როდესაც თქვენ იცნობთ ამა თუ იმ მწერლის ცხოვრებას, კიდეც რომ არ იცნობდეთ იმის ნაწერებს, შეგიძლიათ, დაახლოებით გამოიკნოთ მათი საერთო ხასიათი და მიმართულება. ვარლამ რუხაძე დაიბადა ღარიბს ოჯახში, გარშემო სულ სიღარიბესა და გაჭირვებას ჰხედავდა, სცხოვრობდა ისეთ წრეში, რომელიც სხვადასხვა შევიწროებას და დაჩაგვრას იტანდა. რა შედეგი უნდა მოყოლოდა ყოველივე ამას! ვარლამს უნდა შეეყვარებია დაჩაგრულნი და ღარიბნი, ზურგ ექცია იმ ცხოვრებისათვის, რომელშიაც უსამართლობის მეტი არაფერია და მომავალზე დაემყარებია თავისი იმედები და მართლაც ყოველივე ამას ჩვენ ვხედავთ ვარლამ რუხაძის პოეზიაში.

ვარლამი უმთავრესათ ლირიკოსია,—ის გამოხატავს იმ გრძნობებს, იმ ფიქრს, რომლებსაც მასში იწვევს ცხოვრება. პოეტი უკვირდება თანამედროვე წყობილებას და შიგ ძალმომრეობის, მონობის, დაჩარგვრის, გარყვნილებისა და სიღატაკის მეტს ვერასფერს ჰხედავს. ყოველივე ეს ხდება იმისათვის, რომ ერთი მუჭა მუქთახორები ფუფუნებაში ატარებენ თავის ცხოვრებას. მუქთახორების განცხრომას მსხვერპლათ ეწირება უმრავლესობის კეთილდღეობა და სიცოცხლეც კი. გარეშემო ოხვრა-კვნესა ისმის, ტანჯულთადმი ხარხარი ბედნიერათა. ყოვე-

ლივე ეს პოეტს გულს უმღვრევს, მაგრამ სასოწარ-
კვეთილებას კი ვერ აყენებს. პოეტს ღრმათა სწამს,
რომ ყოველისფერი წარმავალია, მხოლოთ ჭეშ-
მარიტება საბოლოოთ იმარჯვებს და რჩება. ჭეშმა-
რიტება კი პოეტის შეხედულებით იმაში მდგომა-
რეობს, რომ ყალბი ცხოვრება ტანჯვისა, სიღატა-
კისა და ძალმომრეობისა მოისპობა და მის ალაგას
დამყარდება საერთო ბედნიერება თანასწორობაზე
და საერთო შრომაზე აგებული. რაკი პოეტს ღრმა-
თა სწამს ჭეშმარიტების ძლევა-მოსილება, მის
გულს სასოწარკვეთილება აღარ ეკარება. ის ჰხე-
დავს სხვის ტანჯვას და თითონაც იტანჯება; მას
ესმის სხვისი ოხვრა-კვნესა და თვალებზე ცრემლები
ერევა, მაგრამ თავის რწმენაში ის იკრებს ძალას და
ამხნევებს ყველა ტანჯულსა და დაჩაგრულს: **მომა-
ვალი მხოლოთ ჩვენიაო.**

მომავლის მოსაახლოებათ საჭიროა მოქმედება, სა-
ჭიროა ბრძოლა და პოეტი იწვევს ყველა ტანჯულს
აქეთკენ.

ვარლამ რუხაძის პოეზიის ერთ დიდ ღირსებას
ეს საღი ოპტიმიზმი შეადგენს. ცრემლები და ოხვრა
მისი საქმე არ არის. ის ხედავს ცხოვრებაში მთელ
სისაძაგლესა და ყველა უსამართლობას, მაგრამ ყოვე-
ლივე ეს მას მხოლოთ უსამართლობასთან საბრძოლ-
ველათ იწვევს, და გულს კი ვერ უტეხს, რადგანაც
პოეტმა იცის, რომ ტახტი უსამართლობისა ადრე

თუ გვიან დაიმსხვრევა და მის ალაგას დამკვიდრდება ტახტი საერთო ბედნიერებისა.

ცხოვრების სისაძაგლეთა გადმოშლა, მძლავრი პროტესტი, სიმღერა ბრძოლისა და ღრმა რწმენა უკეთესი მომავალისა და ჭეშმარიტების ძლევამოსილებისა,—აი მოკლეთ ვარლამ რუხაძის პოეზია.

ენა ვარლამ რუხაძის პოეზიისა მარტივი, ხალხურია, გარეგანი ფორმა ლექსისა მეტათ მუზიკალური.

თუ პოეტი თვითგანვითარებას დაეწაფება და ევროპის თანამედროვე ლიტერატურას გაითვალისწინებს, მაშინ ის უფრო ღრმათ ჩასწვდება ცხოვრებას და მისი პოეზია უფრო ფართოთ და მძლავრათ გაშლის ფრთებს.

იგ. გომართელი.

გამოცემლისაგან.

ბეჭდითი სიტყვის დღეანდელმა აუტანელმა პირობებმა მაიძულა გამომცემლობა „კოლხიდა“ს—მესამე და მეოთხე წიგნათ განზრახული ხელნაწერები ივ. გომართლისა: ,,სული და ტვინი'' და ,,სოციალიზმის ისტორია''—შემეჩერებინა უფრო მოხდენილ დროისათვის. მათ მაგიერ დღეს დავსტამბე ხალხში უკვე სახელმოპოებულ ახალგაზდა პოეტის ვ. რუხაძის ლექსები, რაც დღემდი უწერია ავტორს. მიუხედავათ იმისა, რომ ვ. რუხაძის ლექსებს, როგორც სხვა ახალგაზდა პოეტებისას კრიტიკა არც ავათ, არც კარგათ არ შეხებია,—მისი ლექსების მოთხოვნილებამ მესამეთ მისი გამოცემის აზრი დამიბადა და დღეს მკითხველს უკვე სრულს კრებულს ვაწვდი ამ ლექსებისას.

თუ ბეჭდითი სიტყვის და მწიგნობრობის გავრცელების დღეანდელმა პირობებმა გამომცემლობის ამ დარგშიაც ხელი არ შემიშალეს,—შემდეგისათვის განზრახული მაქვს გამოვსცე კიდე ზოგი ჩვენი ახალგაზდა შესამჩნევ პოეტების ლექსთა კრებული იმ პირობებით, როგორათაც დღეს ვ. რუხაძის ლექსები გამოვეცი, ე. ი. ნივთიერათ ავტორის დახმარებით.

ჩვენში გავრცელებულია აზრი: **კრიტიკოსები მიტომ არ გვყვანან, რომ ჩვენი მწერლების ნაწერებისთვის თავი ვერ მოგვიყრია, ჟურნალ-გაზეთებშია გაბნეული და კრიტიკოსისათვის ხელმიუწდომელია.** მწერლობის ამ დარგის გამომცემლობის ჩემი მიზანიც სხვათა შორის ის არის, რომ მცირეი წვლილი შევიტანო ამ ნაკლის სამომავლოთ ასაცილებლათ, რათა კრიტიკოსებს საშვალება მიეცესთ გამოთქვან ჩვენ ახალგაზდა პოეტებზე თავიანთი აზრი და მწერლების ნაკლი თუ ღირსება გაუთვალისწინონ ,,ახალ მკითხველებს'', რომლებიც იკვებებიან იმათი ნაწერებით. აი აქ წამძღვარებული წინასიტყვობაც ივ. გომართლისა ერთი ხელსამძღვანელო ნიმუშთაგანია ,,ახალ-მკითხველებისათვის''. უეჭველია, სხვაც თავისას იტყვის...

ბოლოს მკითხველებს ვთხოვ წაკითხვამდე გასწორონ სიჩქარის გამო ამ გამოცემაში მომხდარი შეცთომანი, რომელნიც წიგნის ბოლოშია აღნუსხული.

***

ცხოვრებისგან მწარეთ დასჯილს,
გულ-დაკოდილს, განგმირულსა,
ძალ-მილეულს, ღონე-მიხდილს,
ტანჯულსა და წამებულსა,
მძულდა, მძულდა, როგორც ჭირი,
სიცოცხლე და ეს ქვეყანა,
და ვნატრობდი გულით სიკვდილს
ხსნას ველოდი იმისგანა!
მაგრამ წმინდა სიყვარულის
სხივი გულში ჩამივარდა,
ოცემული აღმადგინა
სიცოცხლეც შემიყვარდა!
შემიყვარდა თვით ქვეყანაც
ლხით სავსე, გაჭედილი,
დაც მარად ბრძოლა არის,
ვინ არი კმაყოფილი!..
და მეც მყისვე მოვემზადე
ბრძოლაში ჩავერიე;
,რულო გვერდით ამოვუდექ,
,ვრელებს არ გავერიე.

და მას აქეთ მედგრათ ვებრძვი
ყოველ დღიურ ჭირს და ვარამს,
ბოროტს მუდამ ვგმობ და ვდევნი,
კეთილს ვაქებ, ვაძლევ სალამს.



ნაწყვეტი.

მეტი უკვდაებაა,
კაცისა მაცოცხლებელი,
ძალის მომცემი, სულისა
ამყვავებ-ამმაღლებელი;
უიმედობა—სამსალა,
უდროოთ დამწყლულებელი,
ძალის წამრთმევი, სულისა
დამკემი, დამდაბლებელი.



მე ცოცხალს ვტირი.

ე ცოცხალს ვტირი, მკვდართან საქმე
სულაც არა მაქვს...
ვინც რომ ერთხელვე სამუდამოთ
დამიწებულა,
ის ვით ვიტირო, ვით ვიძახო:
„ვაი“ და „უი“;
ღმერთმა აცხონოს, ის თვის გზაზე
გამგზავრებულა.
მე ცოცხალს ვტირი, იმ ცოცხალსა,
ჩემო მკითხველო,
რომელიც ცხოვრობს, ცხოვრება-კი
ვერ შეუგნია...
არას აკეთებს... დაწანწალებს
მარად უმიზნოთ...
რა ქნას არ იცის... სწორი გზისთვის
ვერ მიუგნია.

და მას აქეთ მედგრათ ვებრძვი
ყოველ დღიურ ჭირს და ვარამს,
ბოროტს მუდამ ვგმობ და ვდევნი,
კეთილს ვაქებ, ვაძლევ სალამს.



ნაწყვეტი.

შენი უკვდავებაა,
კაცისა მაცოცხლებელი,
ძალის მომცემი, სულისა
ამყვავებ-ამმაღლებელი;
უმეცრობა—სამსალა,
ეგროოთ დამწყლულებელი,
ძალის წამრთმევი, სულისა
დამკემი, დამდაბლებელი.

მე ცოცხალს ვტირი.

ე ცოცხალს ვტირი, მკვდართან საქმე
სულაც არა მაქვს...
ვინც რომ ერთხელვე სამუდამოთ
დამიწებულა,
ის ვით ვიტირო, ვით ვიძახო:
„ვაი“ და „უი“;
ღმერთმა აცხონოს, ის თვის გზაზე
გამგზავრებულა.
მე ცოცხალს ვტირი, იმ ცოცხალსა,
ჩემო მკითხველო,
რომელიც ცხოვრობს, ცხოვრება-კი
ვერ შეუგნია...
არას აკეთებს... დაწანწალებს
მარად უმიზნოთ...
რა ქნას არ იცის... სწორი გზისთვის
ვერ მიუგნია.

არის ის ზახაკიცხავი?

ადამო არის...
სხივები მთვარის
არემარესა ეტრფიალება,
ნიავი წყნარი,
ვრილ-ულეველი,
ღაქრის, ქვეყანას თავსა ეელება.
ქალაქს არ სძინავს,
ქუჩები ბრწყინავს.
ხალხი მოძრაობს. ვინ რას არ სჩადის:
ზოგი ჩარჩ-ვაკრობას,
ზოგი სეირნობს.
ზოგ-ეი ტვირი ქვეშ კვნესით მიმოდის.
ლიდი ფდინარე
ფსწრაფლ მომდინარე
ფხეულ-ხეულით მოექანება:
ნაპირებს ებრძვის,
ზვირთს ზვირთზე ესხვის
და შავ ზღვისაკენ მიექანება...
ოხ. ის ვინ არის,
აგერ ფდინარის
ზვირთებს რომ მიჰყავ თავისი თავი?—
ბუშა. ეშრო�elი.
ოფლისა ფღვრელი,

ლუკმა პურისთვის მუდამ მზრუნავი.
მერე რათ ქნა ეს,
ამ სისაძაგლეს
ჩაიდენს განა ქკვათა მყოფელი?!
კაცსა ყველაფერს
ჩაადენინებს
მწარე ცხოვრება ის ულმობელი:
წვრილი ცოლ-შვილი,
სიცივ-შიმშილი,
მოუსვენრობა, შრომა, ოფლის ღვრა.
ტანჯვა-წვალება,
უსამართლობა,
მდიდრებისაგან ტუქსვა და ჩაგვრა...
ვერ აიტანა
და მიუტანა
მდინარეს მსხვერპლათ თაკისი თავი.
ახლა შენ, გულო,
აშფოთებულო,
გკითხავ: არის ის გასაკიცხავი?

მუშის ღიღინი.

ეუშა, შრომისა შვილი,
ცხოვრებისგან დასჯილი,
რკინის უღელს ვატარებ
გრკალებრ წელში მოხრილი.

ერთი წამი რა არის?
წამსაც ვერ მოვისვენებ.
ვშრომობ და ვშრომობ, შრომის
ოფლით მიწას ვასველებ.

ვშრომობ და თან ვღიღინებ,—
ეს ღიღინი კვნესაა,
სხვებს სიმღერა გონიათ,
სამწუხარო ესაა!

*
* *

ოთხი რამ მიყვარს, ოთხს რასმე
ვეტრფი სულით და გულითა,
ოთხი რამე მრწამს, ოთხს რასმე
თაყვანს ვცემ სიხარულითა.

ერთს ეწოდება სიმართლე,
მეორეს — თანასწორობა,
მესამეს — თავისუფლება
და მეოთხესა — ერთობა.

ამ ოთხში ვხედავ მე მხოლოდ
ძალას მძლეთა-მძლეს, დიადსა,
რომელიც გაფანტ- გააქრობს
დუხჭირ ცხოვრების წყვდიადსა.

ნაწყვეტი.

ინც რომ ცხოვრების ტალღებსა
მედგრათ არ შეეპრძოლება,
ქედსა მოუხრის, თაყვანს ცემს,
პირუტყვებრ დაემონება,
და თანვე თვის ბედს ემდურის,
გმობს წუთი-სოფლის ბრუნვასა,
სიკვდილსა ნატრობს, საზღვარი
არა აქვს იმის ჭმუნვასა...
ის რა კაცია? ის არის
კაცისა ზოლოდ აჩრდილი,
ქვეყნისა ბარგი, ცოცხლათვე
მკვდრეში ჩარიცხულ-ჩათვლილ.

აკაკის. *)

„სულით და გულით მოღვნილი
ბაკურად შეწირულნ“.

აკაკი.

ადელოს სიმწვანე მოვპარე,
სინაზე — ტურფა იასა,
და სურნელება, ელვერი —
ქოკობ ვარდს, გულ-მკერ ღიასა;
სიმშვენიერე - გაზაფხულს
ტკბილი ხმა-კილო — ბულბულსა,
და სიხალისე — ნაკადულს,
ქიდე-ნაპირებ შემკულსა:
ციმცამი — მალხაზ დილის ცვარს,
ქაშკაშა შუქი — მთვარესა,
და ბრწყინვალება — დიად მზეს,
ლაჟვარდში მოელვარესა...
მთელი სიტურფე ბუნების
შევკარი თაიგულათა
და შენ მოგიძღვენ, მგოსანო,
ეს შენ გეკუთვნის სრულათა!
ნიშნათ პატივის-ცემისა,
ბიიღე, მამათმთავარო,
წკრიალა ჩანგის მპყრობელო,
ერის დიდებავ, ჯავარო!

*) ეს ლექსები ადრესათ იყო მირთმეული იუბილარისათვის თბილისსა და ქუთაისში.

გამომცემელი. ი. ჯ

აკაკის. +

ბალი კლდე გასკდა, ნაკადი
ბადმოჩუხჩუხდა ანკარა
და გვალვით დამკნარ ბუჩქნარსა
თვის მოვლინება ახარა

„აყვავდი, — ჩაურაკრაკა,—
ბადაიჯურჩქნე ველათო,
ნუ შეუდრკები გვალვასა,
მოვლენილს შენდა მწველათო!

თან მომაქვს ძალა სიცოცხლის—
ეს შვების ნაკადულიო,
უხვათ მოგირწყავ ფესვებსა,
რომ გაგიმთელდეს წყლულიო...“

და თან ჩუხჩუხით გასწია,
ტყე-მინდორ-ველი დაღარა,
შხეფებით მორწყო ბუჩქნარი,
ბამოაცოცხლა, ახარა.

—

ნაკადი შენ ხარ, პოეტო,
ბუჩქნარი—ჩვენი ერია,
შხეფები—ტკბილი ჰანგები,
რაც შენს ჩანგს დაუჟღერია.

ვაშა! დიდება შენს მარჯვენს,
ენა-წყლიანო მგოსანო!
იცოცხლე, დიდხანს იცოცხლე,
მოხუცო ჰაღაროსანო!

V სიმღერა.

ზოგი კაცი ობობას გავს,
მახეს აგებს მრავალ გვარსა,
იმით იჭერს და სისხლსა სწოვს
მტერს, მოყვარეს, მეგობარსა...

ზოგი კაცი მელასა გავს,
ენა-ტკბილობს ყოველ ჟამსა,
მით ხიბლავს და საფლავს უთხრის
მტერს, მოყვარეს, მეგობარსა...

ზოგი კაცი ასპიტ გველს გავს,
საქმეს სჩადის საზიზღარსა,
არვის ზოგავს, სუყველას კბენს
მტერს, მოყვარეს, მეგობარსა...

ცაო, ცაო, დაიჭექე,
რისხვის ზარი დაეც თავსა,
ვინც ღალატობს განურჩევლათ
მტერს, მოყვარეს, მეგობარსა!..

ᲐᲙᲐᲙᲘᲡ. +

ᲒᲐᲚᲘ კლდე გასკდა, ნაკადი
ᲒᲐᲓᲛᲝᲩᲣᲮᲩᲣᲮᲓᲐ ანკარა
ᲓᲐ ᲒᲕᲐᲚᲕᲘᲗ ᲓᲐᲛᲭᲙᲜᲐᲠ ᲑᲣᲩᲥᲜᲐᲠᲘᲡᲐ
ᲗᲕᲘᲡ ᲛᲝᲕᲚᲘᲜᲔᲑᲐ ᲐᲮᲐᲠᲐ

„ᲐᲧᲕᲐᲕᲓᲘ, — ᲩᲐᲣᲠᲐᲙᲠᲐᲙᲐ,—
ᲒᲐᲓᲐᲘᲤᲣᲠᲩᲥᲜᲔ ᲕᲔᲚᲐᲗᲝ,
ᲜᲣ ᲨᲔᲣᲓᲠᲙᲔᲑᲘ ᲒᲕᲐᲚᲕᲐᲡᲐ,
ᲛᲝᲕᲚᲔᲜᲘᲚᲡ ᲨᲔᲜᲓᲐ ᲛᲬᲕᲔᲚᲐᲗᲝ!

ᲗᲐᲜ ᲛᲝᲛᲐᲥᲕᲡ ᲫᲐᲚᲐ ᲡᲘᲪᲝᲪᲮᲚᲘᲡ—
ᲔᲡ ᲨᲕᲔᲑᲘᲡ ᲜᲐᲙᲐᲓᲣᲚᲘᲝ,
ᲣᲮᲕᲐᲗ ᲛᲝᲒᲘᲠᲬᲧᲐᲕ ᲤᲔᲡᲕᲔᲑᲡᲐ,
ᲠᲝᲛ ᲒᲐᲒᲘᲛᲗᲔᲚᲓᲔᲡ ᲬᲧᲚᲣᲚᲘᲝ...“

ᲓᲐ ᲗᲐᲜ ᲩᲣᲮᲩᲣᲮᲘᲗ ᲒᲐᲡᲬᲘᲐ,
ᲢᲧᲔ-ᲛᲘᲜᲓᲝᲠ-ᲕᲔᲚᲘ ᲓᲐᲓᲐᲠᲐ,
ᲨᲔᲤᲔᲑᲘᲗ ᲛᲝᲠᲬᲧᲝ ᲑᲣᲩᲥᲜᲐᲠᲘ,
ᲒᲐᲛᲝᲐᲪᲝᲪᲮᲚᲐ, ᲐᲮᲐᲠᲐ.

—

ᲜᲐᲙᲐᲓᲘ ᲨᲔᲜ ᲮᲐᲠ, ᲞᲝᲔᲢᲝ,
ᲑᲣᲩᲥᲜᲐᲠᲘ—ᲩᲕᲔᲜᲘ ᲔᲠᲘᲐ,
ᲨᲔᲤᲔᲑᲘ—ᲢᲙᲑᲘᲚᲘ ᲰᲐᲜᲒᲔᲑᲘ,
ᲠᲐᲪ ᲨᲔᲜᲡ ᲩᲐᲜᲒᲡ ᲓᲐᲣᲫᲔᲠᲘᲐ.

ᲕᲐᲨᲐ! ᲓᲘᲓᲔᲑᲐ ᲨᲔᲜᲡ ᲛᲐᲠᲯᲕᲔᲜᲡ,
ᲔᲜᲐ-ᲬᲧᲚᲘᲐᲜᲝ ᲛᲒᲝᲡᲐᲜᲝ!
ᲘᲪᲝᲪᲮᲚᲔ, ᲓᲘᲓᲮᲐᲜᲡ ᲘᲪᲝᲪᲮᲚᲔ,
ᲛᲝᲮᲣᲪᲝ ᲙᲐᲚᲐᲠᲝᲡᲐᲜᲝ!

ნაწუვეტი.

ერმობას, ერთობას, სიყვარულს
დავუდგათ ტახტი ქებული,
ზედ დავსვათ ერთათ სამივე,
ცით უხვათ მადლით ცხებული.
მტრობა, ძულება, შური-კი—
ჩვენ შორის გამეფებული—
ძირ-ფესვიანათ ამოვფხვრათ,
ღვთისაგან შეჩვენებული.

ნაწუვეტი.

ულის სიღრმეში იმედი
თანდათან ძლიერდებაო,
ნუ გეშინიანთ, ჩაგრულნო,
თქვენთვისაც გათენდებაო!..
სიყვარული სძლევს სიძულილს,
ერთობა დამყარდებაო,
ძალ-მომრეობა გაქრება,
ცხოვრება აყვავდებაო!..

მგოსნის სიმღერა.

ილხანს ვძებნე მეგობარი
წმინდა, წრფელი, უანგარო,
მაგრამ ვერსად ვერ ვიპოვე...
ჩემო მუზავ! ჩემო ქნარო!

ვისაც ვენდე, მიღალატა,
შხამი მასვა სასიმწარო,
სული, გული დამიწყლულა...
ჩემო მუზავ! ჩემო ქნარო!

ბოლოს თავი დავანებე,
ვთქვი: „სჯობს სხვა რამ შევიყვარო“,
და მყისვე თქვენ დაგემოყვარეთ,
ჩემო მუზავ! ჩემო ქნარო!

თქვენ მაინც ნუ მიღალატებთ,
ვიდრე სულს არ გავეყარო:
ერთი გვქონდეს ჭირიც, ლხინიც,
ჩემო მუზავ! ჩემო ქნარო!

ამონაკვნესი.

ევდამ შემიპყრო, ობოლი.
სული შეირყა ძალზედა,
გულს კაეშანი ეწვია,
ცრემლი მომასკდა თვალზედა.

მე ვტირი... ჩემი მშობელი
დედა—ბუნება კი ხარობს,
არ ესიმის ჩემი ქვითინი,
მხიარულია, ნეტარობს!

და მე ეს უფრო გულს მიკლავს,
გულში მაწვეთებს სამსალას,
სისხლსა მიყინავს ძარღვებში,
მილევს სიცოცხლის მასალას.

ოხ, სად ხარ, სადა, იმედო,
მაცოცხლებელო სულისა,
მოდი, გამკურნე, ნაკადი
მაპკურე სიხარულისა!

რომ კვლავ ავივსო ძალ-ღონით,
გავიდე ბრძოლის ველათა,
ჩაგრულთა ნუგეშ საცემლათ,
მჩაგვრელთა საბრძოლველათა,

*
* *

ეუშინ მთელი დღე შავ ქვას თხრიდა
ბნელ მაღაროში,
არ იზოგავდა თვის ძალ-ღონეს
შრომისა შვილი,
რომ მით ეშოვნა, ღარიბ-ღატაკს,
ორიოდ გროში
და მით ერჩინა საყვარელი
წვრილი ცოლ-შვილი.
დღეს ის, თავიდან ფეხებამდე
მთლათ გამურული,
სამიკიტნოში „ძმა-კაცებთან“
ზის და ღვინოს სვამს,
მეტი სიმთვრალით ძალ-მიხდილი,
ქვა-დაკარგული—
ცოლ-შვილს ივიწყებს!.. ტანჯვით ნაშობს
გროშებსა ფლანგავს!..
ხვალ-კი ისევე ბნელ მაღაროს
დაუბრუნდება...
ღუხჭირ ცხოვრების ტალღას ასე
მიყვებ-მოყვება!
მის სიცოცხლეში მოსვენებას
ვერ ეღირსება,
ვიდრე შავ მიწას სამუდამოთ
ქვეშ არ მოყვება.

ცხვრები და დათვი.

(არაკი)

ერთხელ ცხვრებსა მინდორზედა
თავი ეოთათ მოეყარათ,
თათბირობდენ—მგელისაგან
თავი რიი დაეფარათ.

ამ დროს ერთმა იმათგანმა
სთქვა თუ: „მოდით, ასე ვქნათო,
დათვს მივმართოთ, შევეხვეწოთ,
დავიყენოთ პატრონათო“.

მოიწონეს მისი რჩევა—
და მიმართეს მყისვე დათვსა;
სთხოვეს დიდი მორიდებით
ტყის ნადირთა „ერისთავსა“:

„მიგვიღე შენს საფარველ ქვეშ,
დაგვიხსენი მტრისაგანო,
დაჩარგულთა მფარველ-მცველო,
კურთხეულო ღვთისაგანო!“

---შეეიწყნარებ, უთხრა დათვმა,
თქვენს თხოვნას და ვედრებასო,
თუ ბოლო დროს შურის თვალით
არ დამიწყებთ ყურებასო;

თქვენსა საქმეს მე წინ წავსწევ,
გაგხდი ყველას ბეჯნიერსო;

შიშის ზარსა დავცემ თავზე
იმ ულმობელ თქვენსა მტერსო“.
ცხვრებმა რა ეს მოისმინეს,
დაიჩოქეს მის წინ ერთათ,
თაყვანი სცეს მოწიწებით,
მიიჩნიეს იგი ღმერთათ.
მართლაც, რომ დღეს მისი შიშით
ვერ უბედავს მგელი ვნებას,
მაგრამ თვით-კი საბრალო ცხვრებს
აღარ აძლევს მოსვენებას.
ის პირ-შავი, არაწმინდა,
უსამართლოთ ეკიდება:
ზოგს ტყავს აძრობს, ზოგს ენას გლეჯს,
არც ერთი არ ებრალება.
ახლა თუმცა ბევრს ნანობენ,
მაგრამ მით რას გახდებიან?
წინად უნდა მოფიქრება—
საბოლოოთ რა სჯობიან.

ვითოკდა იგიც ქრისტიანია.

ირვის დრო არის, ეკლესიაში
მღვდელი ლოცულობს, ხალხი გროვდება
და ყველა ერთათ სასოებითა
პირჯვარსა იწერს, ღმერთს ეედრება.
  აგერ ხალხთ შორის, სვეტთან უძრავათ
რომ არის კაცი გაჩერებული,
მან ვუშინ ფიცით უმანკოებას
ვამოიასალმა ტურფა ასული;
  დღეს აქ მოსულა, თანვე უწმინდურს
წმინდა სანთელიც მოუტანია
და პირჯვარს იწერს, ღმერთს ეედრება,
ვითოკდა იგიც ქრისტიანია!
  ეგერ კუთხეში ვანმარტოებით
რომ არის კაცი ხელ-აპყრობილი,
მან ვუშინ მუშას ქირა წაართვა,
აკენეს-ატირა შრომისა შვილი;
  დღეს აქ მოსულა, თანვე უწმინდურს
წმინდა სანთელიც მოუტანია
და პირჯვარს იწერს, ღმერთს ეედრება,
ვითოკდა იგიც ქრისტიანია!
  აგერ ალსაელის კარების წინა
რომ არის კაცი დაჩოქებული,
მან ვუშინ ფულში თვით ძმა გაყიდა,

როგორც იუდამ ჩვენთვის ჯვარცმული;
  დღეს აქ მოსულა, თანვე უწმინდურს
წმინდა სანთელიც მოუტანია
და პირჯვარს იწერს, ღმერთს ევედრება,
ვითომდა იგიც ქრისტიანია!
  ეგერ ედელთან, სასანთლის ახლო
რომ არის კაცი ხელ-დაკრეფილი,
მან გუშინ ჩუმათ ქრთამი აიღო
და გაამტყუნა მართალი პირი.
  დღეს აქ მოსულა, თანვე უწმინდურს
წმინდა სანთელიც მოუტანია
და პირჯვარს იწერს, ღმერთს ევედრება,
ვითომდა იგიც ქრისტიანია!
  აგერ კარებთან... მაგრამ, ეჰ, კმარა.
ტყულათ ვაცეცებ თვალებს ცრემლიანს,
აქ, ამდენ ხალხში, ერთსაც ვერ ვხედავ
ჭეშმარიტ კაცს და ნამდვილ ქრისტიანს!

მეგობარს.

ნუ, მეგობარო, ნუ კვნესი,
კვნესა ხომ ეშტენვის დარგია,
ეშტენვა-კი, ჩვენის ეზრითა,
სულ ესარგებლო ბარგია.

გაკვეხნევდეთ!.. ნუ შეგვაშინებს
ტანჯულებს ტანჯვის გვნია!..
~~შრომა~~ სთქვა. „თუ ჭირს არ დათმობ,
ლხინი რა დასათვენია!?

მაშ, მეგობარო, ნუ კვნესი!
კვნესა ვერ გვიხსნის, ცხადია:
ეიბრძოლოთ, მხოლოთ ბრძოლაში
ვპოვებთ მას, რაცა გეწადია!..

*
* *

ეუა ლამეა.... ლაჟვარდის ფერი
ცა ვარსკვლავებით მოქედილია,
მთვარე კაშკაშებს და მისი შუქი
მთელ ქვეყანაზე მოფენილია.

ქალაქსა სძინავს, სძინავს ღრმა ძილით,
ქუჩებში ხალხი სულ არ მოძრაობს,
არც ნიავი ქრის, არცა-რა იძვრის,
მხოლოდ მდინარე შხუის, ხმაურობს.

ახ, ის ვინ არის აგერ კარებთან
რომ ატუზული შალ-მოხურული?—
იგი ქალია, ღამის ვაჟარი,
აქ მუშტარს უცდის სულ- განაბული.

რამ აიძულა, ამ სამარცხვინო
გზაზე ის ურცხვათ რომ გამოსულა
და თვის თავს ყოდის ორიოდ გროშზე,
ისე გარყვნილა და დაცემულა?!—

სიღარიბემ და სიკეთე-შიმშილმა:
ასეა მუდამ ჩვენს ცხოვრებაში:
ზოგს გაპივრება ცოცხლათვე. მარხავს,
ზოგი-კი ხაროობს. არს გან ცხრომაში!

რა მაღონებს?

ა მაღონებს?—ის, რომ ჩაგრავს
კარგსა ავი, სუსტს—ძლიერი,
ღარიბ-ღალტაკს—ბევრის მქონე
და უბედურს - ბედნიერი.

რა მაღონებს?—ის, რომ ვხედავ
ერთ მხრით ჩაგრულთ გამწარებას;
მეორე მხრით მჩაგვრელების—
განცხრომას და ნეტარებას.

რა მოაღონებს?—ის, რომ მესმის
ჩაგრულთ კვნესა, გლოვის ზარი:
მჩაგვრელების—უდარდელი
ხან სიმღერა, ხან ხარხარი.

ჩემი აღსარება.

ეუნდა დამადგან ეკლის გვირგვინი,
ამკიდონ ზურგზე ჯვარი წამების,
მტანჯონ, მაწვალონ შეუბრალებლათ,
გამხადონ მსხვრეპლი შურის და მტრობის,—

არ ვუღალატებ მაინც სიმართლეს—
ამ ერთათ-ერთსა ჩემსა სიმდიდრეს!
და არ დავიწყებ ფარისევლობას—
იმ სასაძაგლეს, იმ სიდუხჭირეს!

რაც სათქმელი მაქვს, პირდაპირ ვიტყვი,
დაუფარავათ, მოურიდებლათ;
უსამართლობას შევებრძოლები,
ვიქნები მარად სიმართლის მცველათ.

გაზაფხული.

ზაზაფხულია! ბუნება
ირთვება ათასფერათა,
ვით გოგო ტრუფა, ლამაზი
ვაჟის გულ ასაძგერათა.

სულიერი და უსულო—
ყველა გრძნობს ნეტარებასა
და ველარ ფარავს, საქვეყნოთ
ამბობს თვის აღსარებასა:

„ზამთრისგან ტანჯულ-წამებულს
სული და გული მიწუხდა
და ცრემლი ამ ჩემ თვალთაგან
ნაკადულივით მოქუხდა.

მაგრამ დღეს, ნაცვლათ ქმუნვისა,
ვეძღვევი შვება-სიხარულს,
რაკი მოვესწარ ზაფხულის
წინამორბედსა—გაზაფხულს!

ს ი ზ მ ა რ ი.

ალაქ-გარეთა, მდინარის პირს,
მწვანე მდელოზე
ბოტებ გადაშლილ ხის ჩეროში
ვიწექ, მეძინა,
თან ცხოვრებისა ბასრ ბრჭყალებით
დაკაწრულ გულზე
სევდის ზეწარი კეცა-კეცათ
მეხურ-მეფინა.
და ძილშიაც-კი, ვით მღვიძარე,
ვხედავდი თვალით—
ჩვენი ცხოვრების სიდუხჭირეს,
ბობოქრობასა;
და უსამართლოთ დაჩაგრულებს
ძლიერთა ხელით,
მათს ვაი-ვაგლახს, მწუხარებას,
გაჭივრებასა!
და მიტიროდა, მიკვნესოდა
სული და გული
ჭმუნვისა ალი მედებოდა,
მეკიდებოდა,
მდუღარე ცრემლი მდიოდა თვალთ,
ვით ნაკადული,
და მწვანით მოსილ არე-მარეს
ეპკურებოდა.

ამ დროს ვინატრე სხვა ცხოვრება,
მაგრამ ცხოვრება
სულ სხვანაირი—დიდებული,
აყვავებული,
სად იმეფებდა „ერთობა“ და
„თანასწორობა“,
არ იქნებოდა არც მჩაგვრელი,
არც დაჩაგრული.
და მომეჩვენა, კითომ ნატვრა
მისრულდებოდა;
სული ამაღლდა, ნეტარებით
ამევსო გული...
ოხ, ვერ გამოვთქვამ თუ რა გვარათ
მეხარებოდა,
რომ თენდებოდა, თენდებოდა
დღე დიდებული!!
მაგრამ, რა თვალი გავახილე,
მიმოვიხედე
და ვცანი—იყო ეს „ჩვენება“
ჯერ კვლავ სიზმარი,
სული აკვნესდა, მწუხარებით
ზეცას შევხედე
და დამეფარა გულზე ისევ
სყვდის ზეწარი!

ს ი მ ღ ე რ ა.

ამუნვას დავეხსენ, გავმხნევდი,
გავიოცკეცე იმედი,
და ვთქვი: „აწ ცრემლსა ვეღრ მადენს
ჩემი მტარვალი შავ-ბედი.“

ბრძოლა დავიდე დევიზათ,
წინ, წინსვლა—იდეალათა,
და ვთქვი: „გზას, ეკლით მოფენილს,
გავსჭრი, გავკაფავ ძალათა!“

წარსულისაკენ ზურგი ვქენ,
მომავლისაკენ-კი —პირი,
და ვთქვი: „ხელს მივცემ ცოცხალსა,
უკვე დამარხულს არ ვტირი.“

ცისკარი.

ოკაშკაში ცისკარი სჩანს
განდიანდი წინამძღვარი,
მას ნიავი სალამს უძღვნის
და ადიდებს ვარსკვლავთ ჯარი.

ამის ხილვით აღტაცებულს,
მოუმართავს ბულბულს ჩანგი
და ხმა-ტკბილათ აწკრიალებს,
შორს გაისმის უცხო ჰანგი:

„განთიადი მოახლოვდა,
სჩანს, აწ მალე გათენდება
და წყვდიადი, საზიზღარი,
შავ კუბოში ჩასვენდება.

მაგრამ ჯერ ის მსხვერპლს თხოულობს,
სამსხვერპლოზე შესაწირავს,
და ვაშა მას, ვინც იმისთვის
უნანებლათ თავს გასწირავს!“

*
* *

ღვა, კაეშან მოდებული,
წყნარათ იდგა გაუნძრევლათ,
მწარეთ კვნესდა, ქვითინებდა,
იღვრებოდა ცხარე ცრემლათ.
მაკრამ უცბათ აბობოქრდა,
ტალღა ტალღას მიაჯახა
და გამწყრალი, გულ-მოსული
სალ კლდეს ეცა, მიაძახა:
„მსურს შეგმუსრო, დაგანგრიო,
გაგასწორო, როგორც ბარი,
რომ თავიდან აკიშორო
შენი მღვრიე ნიაღვარი!“.
კლდე შეშინდა, ელდა ეცა,
სთქვა: „ეჰ, საქმე ცუდათ არი,
თუ ახლავე არ ჩავქოლე
ზღვა მღეღვარე, ბობოქარი!..“
და მაღლიდან, როგორც სეტყვა,
დაეშინა ქვა და ლოდი,
რომ ჩაქოლოს, ჩაქვავოს,
შეანანოს შენაცოდი.
მაგრამ მას ზღვა ქედს არ უხრის,
მუდგრათ ებრძვის, ესვრის ტალღებს
და თანდათან უთხრის ძირსა,
იმედი აქვს—გაიმარჯვებს.

დღეს შობაა!

ღეს შობა, კაი დღეა,
დღე ძვირფასი, დღე დიადი
და ჩვენს წარსულ ცხოვრებაში
თვით პირველი განთიადი.

დღეს იშვა ის ქვეყანაზე,
ვინც პირველათ სთქვა სიმართლე
და მით ბნელი გაანათა,
დაანახა ხალხს სინათლე;

ვინც ჩაგრულნი მოიწოდა,
გაიყოლა უკან რაზმათ
და იმედი, სასოება
დააპკურა აიაზმათ;

ვინც უშიშრათ შეებრძოლა
„ძლიერთ ამა ქვეყნისათა“
და შეაკრთო, ააშფოთა
ჩვეულნი ტკბილ განცხრომათა;

ვინც წამებას არ შეუდრკა,
ჯვარსა ეცვა გოლგოთაზე,

მოკვდა და მით უკვდავება
მოიპოვა ქვეყანაზე...

დიახ, დღეს მის შობის დღეა,
დღე ძვირფასი, დღე დიადი
და ჩვენს წარსულ ცხოვრებაში
თვით პირველი განთიადი!

*
* *

ზამთარს სული ეპარება,
მოდის ტურფა გაზაფხული
იხატება არე-მარე
და სიამით ფეთქავს გული.

ჩუ! იქ შაშვი აგალობდა,
აქ—ბულბული ტკბილ-ხმიანი...
გაუმარჯოს გაზაფხულსა!
ძირს ზამთარი სუსხიანი!

ხიმღერა.

ძღელს, მძღელს შე ზღვა, როცა იგი
წყნარათა დგას, არ ინძრევა
და, როგორც მკვდარს, მას სიცოცხლის
ნიშან-წყალი არ ეჩნევა.

მძღელს იმისთვის, რომ მაგონებს
კაცს ცგელს, ცოცხლათვე მკვდარს,
ეშმაკურს, მონათ ქცეულს,
გაუბედავს, ბნდალს და მშიშარს.

მაყვარს, მიყვარს ზღვა, როცა ის
ღელავს, გრგვინავს, ზვირთებს ისვრის,
სალ-კლდეს ებრძვის, აბაყათ მდგარს,
მის წინაშე ქედს არ იხრის.

მიყვარს მისთვის, რომ მაგონებს
გმირს დიდებულს, ჩაგრულთ მცველსა,
ბედგრათ მებრძოლს, თავ-განწირულს
და ბატრის წინ ქედ მოუხრელსა.

ხაახალწლო სიმღერა.

ჩვენც, მეგობარნო, ამ წელთან ერთად
განვაახლდეთ ძალით, განვაახლდეთ გულით,
ეარგეთ ბმენა — ამაო ბარგი,
დამწყალულებული, დამცემი სულით.

ხელი ხელს მივცეთ სიყვარულითა,
ძალა ძალასა შევუკავშიროთ
და საერთო გზით გავსწიოთ მეოგრათ,
შეუჩერებლათ წინ გავეშუროთ.

ვინც რომ დაგვიხვდეს: მხნეთ შეეებრძოლოთ,
ნუ შეეუდრკებით თვით სასტიკ ძალსა,
რწმენა ხმლად გვეპყრას, იმედი — ფარად,
სალამი მივცეთ ტკბილ მომავალსა.

იქ-ღა სჩქეფს წყარო ნეტარებისა,
იქ არის ჩვენი წმინდათა-წმინდა,
იქ და მხოლოდ იქ ვიპოვით იმას,
რასაც დავეძებთ, რაც გულით გვინდა.

მაშ, მეგობარნო, ხელი ხელს მივცეთ,
ძალა ძალასა შევუკავშიროთ
და საერთო გზით გავსწიოთ წინ, წინ,
ჩვენსკენ მომავალს — ჩვენც მივაშუროთ!

მ შ ი ე რ ი.

ამთრის დილაა... ცას ღრუბელი
სქლათ გადაკვრია,
თოვს, არე-მარე თოვლით არის
მთლათ დაფარული,
ზღვა ღელავს, ღმუის... სუსხიანი
ქარი ზუზუნებს,
სიცივით არის ყველაფერი
გარემოცული...
აგერ, დიდ-ქარხნის ალაყაფის
კარების წინა,
წელში მოხრილი დგას ვაჟკაცი
მშიერ-მწყურვალი,
საქმეს თხოულობს, მაგრამ არვინ
აძლევს უბედურს
და მწარეთ გმინავს, ეკიდება
კაეშნის ალი!
„ექვსი თვე არის, ამბობს იგი,
სრული ექვსი თვე,
ვით მაწანწალა, ქუჩა-ქუჩა
დავეხეტები,
მაგრამ არ იქნა, ვერაფერი
საქმე ვიშოვნე...
ცოლ-შვილიანათ შიმშილითა
აგერ მოვკვდები!

რაც რამ მებადა, რის გაყიდვაც
შეიძლებოდა,
უკვე გავყიდე ოხრის ფასათ
სუყველაფერი:
ტანისამოსი, ქვეშსაგები
და ბევრი სხვა რამ;
აწ რა უნდა ვქნა, რომ არა მაქვს
აღარაფერი!
ვითხოვო? მერე ვინ მომხედავს,
ვინ გამიკითხავს,
ჩემსავით ღარიბს თვითონ რა აქვს,
რომ მე გამიყოს,
და მდიდარსა-კი გულის ნაცვლათ
ქვა უდევს მკედრში,
არ შემიბრალებს, თუნდ შიმშილმა
ბოლოც მომიღოს!
ვიქურდო? მერე პატიოსან მუშაკს,
ოფლის მღვრელს
მოანაპარავი, წანართმევი
ვით შემერგება!
ასეც არ იყოს, ბოროტ-მომქმედს
ბოროტებისთვის—
ციმბირში წასვლა, ან ციხეში
ჯდომა მერგება!
თავი მოვიკლა? უბედური
წვრილი ცოლ-შვილი
მთლათ უპატრონოთ, ობლათ, ოხრათ

როგორ დავყარო!
მაშ რა უნდა ვქნა, რა ვიფიქრო,
რა მოვახერხო,—
სულ უნდა მარტო მწუხარების
ცრემლები ვღვარო?!
ოხ, სად ხართ, სადა, შრომის შვილნო
ჩემებრ ტანჯულნო,
მოდით, შეეერთდეთ, ხელი ხელსა
მივცეთ საშველათ
და შეერთებულ ძალით მედგრათ
გავსწიოთ წინა
ძველ, დახავსებულ წყობილების
დასამხობელათ!
დეე, მოეღოს ბოლო „ყოფნა-არყოფნის“
საკითხს:
ან მკვდრებს ვეწიოთ, ანუ ცოცხლებს
ამ ორში ერთსა,
რომ შესწყდეს ცრემლი, შესწყდეს კვნესა
სულის მქენჯავი,
მუდამ მწუხარეს არ ვხედავდეთ
ჩვენ ერთმანეთსა!“
და თან, სიცივით გათოშილი,
ძიგძიგ-კანკალებს,
შიმშილისაგან ეკარგება
თანდათან ძალი,
ცას ზიზღით შესცქერს, ქვეყანას-კი
სწყევლის და კრულავს,
თვალცრემლიანსა ეკიდება კაეშნის ალი.

*
* *

ამეა... ღამის გუშაგი
შუქსა ფენს არე-მარესა,
ეალერსება ბუნებას
ათასფრათ მოელვარესა.
მტრედის ფერ ცაზე ვარსკვლავნი
დაციმციმობენ წყნარათა,
სხივებს აფრქვევენ მაღლიდან
სულ-გულის გასახარათა.
ნიავი დაქრის ფრთა-გაშლით,
მთა და ბარს თავსა ევლება,
ხან ტყეს უგალობს ნანინას,
ხან მდელოს ესაუბრება.
ქალაქს არ სძინავს, ქუჩებში
ხალხი მოძრაობს, ტრიალებს,
ზოგი კვნესს, ზოგი იმღერის,
ზოგი ეტლს მიაგრიალებს...
აგერ ქოხის წინ, ღამაზი,
ზის შალში გამოხვეული
და მუშტარს უცდის, რომ ფულზე
გაყიდის თვისი სხეული.
ფიქრობს: „ეჰ, რა ვარ ახლა მე?
რა არის ჩემი სახელი?—
„ზნე-დაცემული“, „გარყვნილი“,
„ქუჩაში ნათრევ-ნათელი“!..

ოხ, თუ ცოცხლათვე მომკლავდი,
რათ გამაჩინე, უფალო?!...
ახ, ნეტავ დედის მუცელში
გავწყალებოდი საბრალო!!..
და თან გამვლელს და გამომვლელს
იწვევს და ეპატიჟება,
თუმც კაცის ნახვა ზიზღსა გვრის,
შურის ძიებით ივსება...
მე შევცქერ, ვფიქრობ: „უზნეო,
გარყვნილ-გახრწნილი სულითა
ის ქალი არის, რომელიც
ცხოვრობს ცხოვრებით სრულითა;
ბედნიერია, რაც კი სურს
ეშოვებ-მოეპოვება,
მაგრამ ქმარს მაინც ღალატობს
და სხვებსა ეტრფიალება.
დიახ, ის!.. მასთან ის კაციც,
ადამიანათ ცნობილი,
სახით ღვთის მსგავსი, ხატება,
საქმით-კი—გველის ძმობილი,
რომელიც მუდამ მას სცდილობს—
ყოველი ქალი ხელთ იგდოს.
მოპაროს თვისი საუნჯე,
ნამუს-ახდილი დააგდოს!..
ეს-კი მსხვერპლია შიმშილის,
გაჭირვებისგან ვნებული;
ბოროტ-კაცისგან საზიზღრათ

შეცდენილ-მოტყუებული;
ხალხისგან უარყოფილი,
დაგმობილ-შეძულებული
და ძალათ გარყვნილებისა
მორევში გადაგდებული!
და, ამ ფიქრებში გართულსა,
გული ნაღველით მევსება
და ცრემლი სიბრალულისა
თვალზე ნაკადებრ მახკდება.

№-6

(მიბაძვა ადანეგრისა)

„Მიყვარხარ და შენც შემიყვარეო,“ —
ლამაზო ქალო, მთხოვ, მეეედრები.
მე სილამაზეს თაყვანს არა ვცემ,
არც მაგ ვედრებით მოვიხიბლები.
გსურს შეიგიყვარო?.. მაშ ჯერ, პირველათ,
გადაიშალე ეგ შენი გული,
რომ დავინახო რა ატოკებს მას —
უბრალო ვნება, თუ სიყვარული;
გადამიკითხე თავით ბოლომდე —
შენი ცხოვრების მცირე რვეული,
რომ გავეცნო მე იმის შინაარსს,
გავიგო შენი ამწყო, წარსული:
მითხარი: იცნობ კარგათ ცხოვრებას?
იცი რა არის ტანჯვა-წვალება?
ძალგიძს, რომ ზიდო ‘მრომის უღელი?
გულსა გიღელვებს უსამართლობა?
გიყვარს ჩაგრულნი? გძულს მჩაგვრელები?
გმობ, სწყევლი მარად იმ ბოროტ ძალსა,
რომელიც სტანჯავს სუსტსა და უძლურს?
იმედით შესცქერ ჩვენს მომავალსა?
და მაშინ, ჩემო ტურფავ-ლამაზო,
მეც შეგიყვარებ სულზე უტკბესად,
შენთან ვიცოცხლებ, შენთან მოვკვდები,
(ეს), შენ გიგულებ მცველ ანგელოსად!

საღამო ზღვის პირათ.

ღვა ღელავდა... ზვირთები
ზვირთებს ეჯახებოდენ
და ჭექა-გრგვინვით მედგრათ
ნაპირებს ასკდებოდენ.

შორს, გაღმა, ცეცხლის ბურთი
კაშკაშებდა, ბრწყინავდა,
გუნდ-გუნდათ მცურავ ღრუბლებს
სხივთ ისრებით გმირავდა.

და ისინიც ალის ფერ
სისხლით იღებებოდენ,
სხვადასხვა სურათებათ
ისახ-იხატებოდენ.

ვარდის ფრათ ელვარებდა
ლაჟვარდი ცის კიდური
ბუნების დიდ სარკეში—
ზღვის გულში ჩახატული.

მე ამ დიდებულ სურათს
შევსცქერდი აღტაცებით
და ჰაერში დავქროდი
ოცნების ჭრელი ფრთებით.

მაგრამ დაღამდა, ბნელმა
დაფარა არე-მარე,
და თვალ-წინ წარმომიდგა

ჩვენი ცხოვრება მწარე.
  თან შემომესმა ტანჯულთ
ვაება, გლოვის ზარი...
და მეც ავკენესდი მწარეთ,
ზღვას შევრთე ცრემლის ღვარი.
  მაგრამ თან დაკიმარხე:
„ბრძოლა, ბრძოლა მედგარი!
ჩავრულთა ჩვენი მხსნელი
ერთად-ერთი ის არი!“

*
* *

ეს, ეროხ, ლ. მაინც რომ შეეძლებდე
გზა-დაბნეულის გზისა ჩვენებას,
გაჭირვებულის—ცრემლის შეშრობას
და დაცემულის—წამოყენებას,
  მაშინ... ოხ, მაშინ პირზე დიმილით
დავხუჭავ თვალსა სამარადისოდ,
რადგან თამამით შემეძლება თქმა:
მეცა ვცხოვრობდი სხვის სანუგეშოდ!

† ᲕᲚᲝᲗᲘ.

ავ-ფეხ-შიშველა, გახვეული
ძველ ფარაჯაში,
ლოთობისაგან სუმთლათ სახე
დალურჯებული...
სამიკიტნოში იჯდა მარტო,
უამხანაგოთ,
ხან იმღეროდა, ხან სტიროდა
გულ-ამღვრეული!
წინ ედგა ბოთლი შხამიანი
არაყით სავსე,
ზერო გამოშვებით სვამდა და თან
იგინებოდა
თუმც ჯერ არ იყო ჩვეულებრივ
უზომოთ მთვრალი,
მაგრამ თანდათან ერეოდა,
ეკიდებოდა.
---რათ ლოთობ მუდამ?... რათ იხრჩობი
ამ საწამლავში?!
დავეკითხე მე, მისი ნახვით
აშფოთებულმა.
იმან ჯერ ზიზღით შემომხედა,
შემომიკურთხა
და მერე-კი ეს მიპასუხა
ცრემლ-მორეულმა:

„რათ ვლოთობ მუდამ?.. კითხე ჩვენსა
დუხჭირ ცხოვრებას,
ამის მიზეზი თვით მის გულში
ღრმათა მარხია:
მან, ჯერ კვლავ ვაჟკაცს, ეს შემომძღვნა,
ეს მიწყალობა
და, როგორც ხედავ, ახლა ზედ შავ
ლაქათ მაცხია!..
ეხ, ვერ გავუძელ, ვერა, მუდამ
სიცივეს, შიმშილს,
ვერ ავიტანე მუდამ ტანჯვა,
მუდამ წვალება...
და „პილატეს ცრემლს“ დავუმოყვრდი,
დავუმეგობრდი,
რომ შიგ ჩავახრჩო სევდა, დარდი
და მწუხარება!..
და კვლავ აიღო ხელში ჭიქა
არაყით სავსე,
უცბათ გადაკრა, ცარიელი
დაიდგა წინა,
მერე-კი იქვე მაგიდაზე
დაეყრდნო თავით
და სიმთვრალისგან თავ-ბრუ-დასხმულს,
ღრმათ ჩაეძინა?

მეხის გავარდნის წინ.

ა მოპირქუშდა, განრისხდა,
სწრაფათ მოძრაობს ძალები,
ელვა ხაზს ავლებს ჰაერში,
ვით ცეცხლის ნაპერწკალები!

რას მოასწავებს ყველა ეს?
სჩანს, მეხი უნდა გავარდეს:
ან განადგურდეს ქვეყანა,
ან და სრულიად განახლდეს.

მაშ, თუ ასეა, დე, მალე
გავარდი მეხო, იგრგვინე
და შეასრულე განზრახვა,
სურვილი დააგვირგვინე!

ნუ დაიშურავ ქვეყნისთვის
მაგ შენს მძლავრ ცეცხლის ნაპერწკლებს,
რომ დროზე, შენი წყალობით,
ან მკვდრებს ვეწიოთ, ან ცოცხლებს!

ულნში ვხედავდი იდეალს.
წმინდათა-წმინდა მეგონე
და მსურდა შემომეწირა
შენთვის ეს ჩემი ძალ-ღონე.

გეტრფოდი. სიმთა წკრიალით
გიმღერდი ქებათ-ქებასა.
არვის ვაძლევდი, მერწმუნე,
შნზე ავის თქმის ნებასა.

მაგრამ რა კარგათ გავიცან,
ჩაგხედე სულის სიღრმეში,
შევკრთი, ისარი სევდისა
მყის განმეწონა გულ-მკერდში.

ოხ, არ ყოფილხარ, არა, ის,
რაც რომ მეგონე უწინა,
მწარ სინამდვილის სარკეში
სულ სხვა გამოჩნდი თვალ-წანა!..

მაგრამ მე მაინც ველარ გთმობ,
ისევ შენ გეტრფი, სხვას არა,

რადგანაც ვიცი ჯერ კიდევ
ნორჩი ხარ, ნორჩი, პატარა.

ხოლო თუ მომავალშიაც
შენ ასეთივე იქნები,
მაშინ-კი დაგგმობ, დაგწყევლი,
სამუდმოთ შემეზიზღები!

მანამ-კი ამ ჩემს ჩანგურსა
ორ-გვარათ გიკვნეს-გიქებენ:
ავისთვის მწარეთ გაგკიცხავ,
კარგისთვის ქებას გიმღერებ.

ნაწყვეტი.

ადამიანო! მაშინ ხარ
სადიდებელი ერისა,
თუ შეგწყვეს ძალი და ღონე
სიმართლის დროშის ჭერისა:
თუ გესმის იდუმალი ხმა
ჩაგრულთა გულის ძგერისა,
თუ ებრძვი უსამართლობას,
არ გეშინია მტერისა...

ორი სურათი.

I

ყნარი დღე არის... კაშკაშა
მზე ცაზე ნელა დაცურავს
და არე-მარეს ოქრის ფერ
სხივების გვირგვინს ახურავს.
ქალაქი ღელავს, მოძრაობს,
სავსეა ხალხით ქუჩები,
აქ განცხრომის ძე სეირნობს,
იქ ტვირთ ქვეშ კვნესენ მუშები.
აგერ მუშაკი ფერ-მკრთალი
დადის და საქმეს დაეძებს,
მაგრამ ვერაფერს შოულობს
და ცრემლზე ცრემლსა აწვეთებს.
ფიქრობს: „მშრომელსა საქმე მსურს,—
მაგრამ ვინ მომცემს? სად არი?
სხვა საქმობს... მე კი უსაქმოთ
დავეხეტები გულ-მკვდარი!.“
და გულზე ბოღმა აწვება,
თვალ-წინ უდგება შიმშილი...
გმობს, სწყევლის აწმყოს, მის წეს-რიგს,
თან კვნესის სასო-ნიხდილი:
„ოხ, ულმობელო ცხოვრებავ,

შხამ-გესლიანო, მტარვალო,
შრომისა შვილი ამგვარათ
როდემდის უნდა მაწვალო?!“

II

ქარხანა გრგვინავს, ხმაურობს,
ბრუნავს და ბრუნავს მანქანა,
მას თავს ადგია მუშაკი,
შრომობს და ფიქრობს მასთანა:
„მუშა, მშრომელი, სულ ვშრომობ,
ველარ ვცილდები ქარხანას,
როგორც პირუტყვი, ვემონვი
უსულ-უგულო მანქანას;
მაგრამ ნაშრომი სხვას რჩება,
განცხრომაშია მარადა,
მე გაჭირვება სულს მაძრობს,
ვკვნესი, ცრემლი მდის ღვარათა!
და გული სევდით ევსება,
თვალ-წინ უდგება შიმშილი...
გმობს, სწყევლის აწმყოს, მის წეს-რიგს,
თან კვნესის სასო-მიხდილი:
„ოხ, ულმობელო ცხოვრებავ,
შხამ-გესლიანო, მტარვალო,
შრომისა შვილი ამგვარათ
როდემდის უნდა მაწვალო?!“

ჩემი ნატვრა.

ილა არის, მზე კაშკაშებს
სხივებს აფრქვევს არე-მარეს,
ქარი დაქრის, დანავარდობს,
ამღელვარებს ბუჩქ-მცენარეს.
ზღვა ბობოქრობს, გრგვინავს, ღმუის,
ზვირთებს ისვრის, ქაფს იყენებს,
სალ-კლდეს ებრძვის, ანგრევს, ამსხვრევს,
მის მახლობლათ არ აყენებს.
მე შევყურებ... ვნატრობ: „ნეტა
მეც ზღვა ვიყო ბობოქარი,
არა ერთ ადგილას მდგომი,—
თავისუფლათ მომდინარი,
რომ გადავსცდე ჩემს კალაპოტს,
მთა და ბარი გადავლახო,
ღძლურთ მჩაგვრელ ბოროტ ძალას
თავ-განწირვით დავეჯახო
და შევმუსრო, გავაქარწყლო,
მოვსპო მისი ბოროტება,
სამუდამოთ გამოვახსნა,
ვინც დღეს მისგან იტანჯება!“

ამონაკვნესი.

ფიქრი, სულ ფიქრი, ეხოლოდ ფიქრი...
სხვა არაფერი!
ნეტა როდემდის უნდა ვყავდე ტყვეთ
შავ ფიქრთ გროვას?!
ახ, რათ არ ძალმიძს, რომ გამოვთქვა
სუყველაფერი,
რაც გულს აწყლულებს, სულში ბადებს
კვნესას და გლოვას!!
რამ დაადუმა, როგორც მუნჯი,
ეს ჩემი ენა?
რათ არ ასრულებს თავის წმინდა
დანიშნულებას?..
მაგრამ რას ვბოდავ!.. საკითხავი
არის ეს განა,
როცა ზედ კლიტე დაუდვია
თვით ბორბოტებას!?.
ოჰ, შავ ფიქრთა ტყვევ, უბედურო
შენ ჩემო თავო.
იტირ-იკვნესე, მდუღარებით
დაიწვი თვალი,
ეგებ ცრემლს მაინც თან ამოყვეს
ბმუნვა, ბედ-შავო,
და ჩაქრეს გულში ანგნებული

კაეშნის ალი!
ფიქრი, სულ ფიქრი, მხოლოდ ფიქრი...
სხვა არაფერი!
ნეტა როდემდის უნდა ვყავდე ტყვეთ
შავ ფიქრთ გროვას?!
ახ, რათ არ ძალმიძს, რომ გამოვთქვა
სუყველაფერი,
რაც გულს აწყლულებს, სულში ბადებს
კვნესას და გლოვას!!

საღამოზმდი ქარხანაში, საღამოს სამიკტნოზში.

ღეს საღამომდის ქარხანაში
შრომობდენ ერთათ,
ოფლათ დნებოდენ მეტი შრომით
ქანცგაწყვეტილნი,
მშიერ-ტიტველი ცოლ-შვილი კი
წინ უდგათ ლანდათ,
მწარეთ გმინავდენ, მწარეთ კვნესდენ
სასო-მიხდილნი.
გულში ფიქრობდენ: „ახ, რათ ხდება
ნეტა ამ გვარათ?
ასე უკულმა რისთვის ბრუნავს
ჩვენი ცხოვრება?
ჩვენ ვშრომობთ, ოფლს ვღრეთ... ნაშრომითა
სხვა ძღება მარად,
თვით-კი შიმშილით ნახევარჯერ
კუპი გვიხმება!..“
და ქედ-წახრილნი სულ შრომობდენ
შეუსვენებლათ,
მუქთა ხორათა გროვა თვალ-წინ
ეხატებოდათ,
ვერსად ხედავდენ იმედის სხივთ

დასაყრდნობელათ
და დარდი დარდზე, წყლული წყლულზე
ეპატეგოდათ.
საღამოს აგერ სამიკიტნოს
გამოუარეს,
რომ გადაეკრათ თითო ჭიქა
არაყი, ღვინო;
ერთი-მეორის პატივცემა
არ დაიზარეს,
ერთსა მეორეც დაუმატეს
„გულის სალხინო“...
ასე, ამგვარათ გააგრძელეს
„სმა და პურობა“,—
სულ დაავიწყდათ უბედური
წვრილი ცოლ-შვილნი!—
გამოიჩინეს ღვინის სმაში
დიდი გმირობა;
სვამენ და სვამენ, თან მღერიან
ენება აშლილნი.
მღერიან ერთ ხმათ: „ოხ, დავლიოთ,
დავლიოთ, ძმებო,
ღვინოში ჩავკლათ სულის ტვინესა,
გულის წუხილი,
რომ მით წუთს მაინც გავინელოთ,
ტანჯვის შვილებო,
მწარ ცხოვრებისგან მოდებული
მწველი სახმილი!..“

ის არ იციან ბედ-კრულებმა
ღვინოა შხამი,
მათი არსება უმისოთაც
დასუსტებული,
მოიწამლება, დაუდგებათ
საზარი წამი,
უდროთ ეწევათ კარს სიკვდილი
ცელ-მომართული!

ღარიბის პასუხი.

ნუ, განცხრომის ძევ, ნუ მეკითხები,
თუ რა მტკივა მე გულის სიღრმეში,
კიდეც რომ გითხრა, მრწამს, ვერ მიხვდები,
რადგანაც დუხჭირ ცხოვრების ფსკერში
შენ არასოდეს არ მოქცეულხარ;
არ იცი რაა ტანჯვა-წვალება,
მუდამ ნეტარობ, განცხრომში ხარ,
ფუფუნებაა შენი ცხოვრება.
მხოლოდ ის იგრძნობს, იგი მიხვდება,
თუ რა მტკივა მე გულის სიღრმეში,
ვინც რომ ჩემსავით სულ იტანჯება,
არ იცის რაა შვება მის დღეში;
დუხჭირ ცხოვრების ფსკერზე დაკრული,
ხან მშიერია, ხან ტიტველია,
კვნესის და გმინავს გულ-ამღვრეული,
მუდამ მწუხარე, ცრემლის მღვრელია.

ლომი და არწივი.

(ეზოპი)

ომი, დაბმული ჯაქვითა,
თავისუფლებას ნატრობდა:
თან ქვითინებდა, მდუღარე
ცრემლებით მიწას ალბობდა.
მოთქვამდა: „რა რომ მტარვალის
ხელში ჩავარდი მერეო,
სულ მუდამ წვალებაში ვარ,
ვერა რას გავხდი ჯერეო.
ოხ, რა მწარეა სიცოცხლე
სხვის ხელში, მონობაშიო:
სული სწუხს, გული ქვითინებს,
ცრემლი არ შრება თვალშიო!“
ასე მოთქვამდა, ტიროდა,
ის არ იცოდა კარგათა,
რომ ცრემლი ვერას არგებდა,
გულს ადუღებულს დარდათა.
მაგრამ მას, ერთ დღეს, არწივმა
სიმღერით გადაუარა
და რასაც თითონ ფიქრობდა
გააცნო, გაუზიარა:
„თავის ხსნისათვის, იცოდე,

უვარგისია ცრემლიო,
მისთვის ბრძოლაა საჭირო,
როგორც მჭედლისთვის გრდემლიო!“
ეს რა მოესმა ლომს, მყისვე
ცეცხლებრ აენთო, გავარდა,
ჯაჭვს გაკრა მედგრათ, გაგლიჯა,
მინდორში გაინავარდა.
სთქვა: „თურმე მარტო ბრძოლაა
თავისუფლების წყაროო,
შეგნება—სახელმძღვანელო,
რომ ძალა მოიხმაროო!“

გ ლ ა ხ ა კ ი.

ამთრის დღე არის ცივი, სასტიკი,
გაყინულია მთლათ არე-მარე,
შიშველ-ტიტველი ბუნება კვნესის,
როგორც შვილ მკვდარი დედა მწუხარე.

აგერ ქუჩაზე, წელში მოხრილი,
სახე გამხდარი, ჩამოკონკილი,
მოდის გლახაკი ძიგძიგ-კანკალით
თან მწარეთ სტირის სასო მიხდილი.

ან-კი საბრალომ ვით არ იტიროს,
ვით არ დაღვაროს ცრემლთ ნაკადული,
როს შიმშილისგან მუცელი ეწვის
და სიცივისგან უთრთის სხეული?

აჰა, კიდეც სტირის და მოთქვამს:
„ღმერთო! რათ შემქენ მე უბედური,
და თუ შემქენი რათ არ მომეცი
საღი ძალ-ღონე თან ლუკმა პური...

რომ ჩემის შრომით საზრდო მეშოვნა,
არ ავკიდოდი მეტ ბარგათ ხალხსა,
რომელიც „მუქთა ხორას“ მიწოდებს
და ზიზღით მაწვდის ლუკმას საწყალსა?!“

და ხელ-გაწვდილი გამვლელ-გამომვლელს
თხოვს მოწყალებას, თავსა აბრალებს,
მაგრამ ათასში ერთი თუ აძლევს,
სხვა-კი გმობს კიცხავს, ზიზღით შეყურებს!

ვაშა.

ვაშა სიხაილეს, მის სხივებს
სიცოცხლის მომნიჭებელსა,
ყანგა-სიცივის დამთურგუნელს,
წყედიადის გამაქრობელსა!

ვაშა მას, ვინც რომ იმისკენ
ფიილტვის, მიეშურება,
თავს წირავს იმის გულისთვის,
ერთგულათ ემსახურება!

ᲐᲛᲝᲬᲜᲐᲙᲕᲔᲗᲘ.

ᲘᲓᲔᲕ ᲐᲦᲛᲝᲩᲜᲓᲐ ᲛᲬᲐᲠᲔ ᲙᲕᲔᲡᲐ
ᲩᲔᲛᲡ ᲝᲠᲝᲚ ᲩᲐᲬᲒᲡᲐ,
ᲛᲝᲠᲩᲡ, ᲛᲝᲠᲩᲡ ᲒᲐᲘᲡᲛᲐ ᲒᲚᲝᲕᲘᲡ ᲩᲐᲠᲘ
ᲒᲣᲚᲘᲡᲐ ᲛᲬᲣᲚᲔᲚᲘ;
ᲪᲠᲔᲛᲚᲘᲗ ᲜᲐᲙᲐᲦᲣᲚᲘᲪ ᲗᲐᲜ ᲐᲛᲝᲚᲣᲚᲘ
ᲛᲬᲣᲮᲐᲠᲔ ᲭᲘᲜᲒᲡᲐ,
ᲣᲮᲕᲐᲓ ᲓᲐᲜᲐᲛᲐ ᲢᲐᲜᲯᲣᲚᲘᲡ ᲑᲣᲦᲔ
ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲕᲔᲚᲘ!
ᲝᲮ, ᲣᲑᲔᲦᲣᲠᲩᲝ, ᲗᲥᲕᲔᲜ ᲩᲐᲠᲗ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ
ᲛᲘᲩᲔᲩᲘ ᲐᲛᲘᲡ,
ᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐᲪ ᲣᲙᲕᲔ ᲮᲔᲚᲘᲗ ᲒᲘᲠᲧᲠᲘᲐᲗ
ᲢᲐᲜᲯᲘᲡᲘᲡ ᲤᲘᲐᲚᲐ;
ᲗᲥᲕᲔᲜᲘᲡ ᲒᲝᲚᲔᲑᲐᲐᲓ ᲛᲔᲪ ᲛᲘᲒᲔᲛᲘ
ᲡᲘᲛᲬᲐᲠᲔ ᲨᲮᲐᲛᲘᲡ
ᲓᲐ ᲛᲬᲐᲠᲔᲗ, ᲛᲬᲐᲠᲔᲗ ᲐᲛᲘᲙᲕᲬᲣᲡᲐ
ᲩᲐᲜᲒᲘ ᲬᲙᲠᲘᲐᲚᲐ!

*
* *

ეიმედობავ, რა გინდა,
რა დაგემართა ჩემთანა
რათ არ მშორდები, რათ დამსდევ
ყველგან, ყოველთვის შენც თანა?
ნუ თუ გგონია, რა ერთხელ
ჩემ გულში დაისადგურებ
სულითა დამცემ, სიკვდილსა
მანატრებ, მაკვნეს-მატირებ;
ცას შემაზიზღებ, ქვეყანას
და მაწყევლ-დამაგმობინებ,
რაც მიყვარს, რასაც რომ ვეტრფი
მაზედ ხელს ამაღებინებ?
არა, ვერ დამძლევ, იცოდე,
ვერ დამცემ, ვერა სულითა!
გავიორკეცებ იმედს და
გაკსალკდევდები გულითა!
შენ შიგ მოგიმწყვდევ, ჩავიკლავ,
მე-კი ვიმანევებ მარადა,
მტრის გულის დასაღონებლად
და მოყვრის გასახარადა.

განცხრომის შვილი.

ნაღამოა. ლაჟვარდ ცაზე,
ვარსკვლავთ შორის, ბადრი მთვარე
ჰეფურათ ზის და მის შუქზე
ვერცხლის ფრათ სჩანს არემარე.
აგერ ტურფა დარბაზის წინ
დიდი კაცი დასეირნობს,
„ძირს მე ვბრწყინავ, მაღლა მთვარე,“ —
განცხრომის ძე ასე ფიქრობს.
მის თვალ-წინ კი დამშეული
ხალხი კვნესის, იტანჯება,
მაგრამ იგი ამისათვის
სულაც არ სწუხს, არ ღონდება.
ან-კი რისთვის დაღონდება?
თითონ მუდამ მაძღარია,
მაძღრისთვის-კი სხვის შიმშილი
გასართობი ზღაპარია!

*
* *

შირათ მეწვევა შავი ფიქრები,
სულ-გულს მიქენჯნის, აღარ მასვენებს,
ხან ცას მიმაწყვეტს, ხან დედამიწას,
სხვადასხვა საკითხს თვალ-წინ მიყენებს:

რა არის ნეტა ადამიანი,
ან ცხოვრებაში რა აქვს მას აზრათ?
რისთვისღა სჩაგრავს ერთი მეორეს,
ან მომავალში რას ელის ნაცვლათ?..

და ყველა ამის პასუხათ მხოლოდ
თვალ-წინ მიდგება ცივი სამარე,
სად განურჩეველათ ჩადის სუყველა
მეფე, ბატონი, მონა მწუხარე.

და გულში ვამბობ: რადგან ასეა,
ყველას ერთგვარათ ჩაგვნთქავს საფლავი,
რატომ არ ვზრუნავთ კეთილ საქმისთვის,
სახელი მაინც დაგვრჩეს უკვდავი?!



ᲛᲔᲖᲚᲕᲐᲣᲠᲔᲑᲘᲡ ᲡᲘᲛᲦᲔᲠᲐ.

ᲣᲐᲙᲠᲐ ᲡᲐᲐᲗᲛᲐ .. ᲐᲛᲮᲐᲜᲐᲒᲜᲝ, ᲨᲔᲛᲝᲙᲠᲑᲘᲗ ᲛᲐᲚᲔ!
ᲐᲰᲐ, ᲖᲦᲕᲐ ᲦᲔᲚᲐᲕᲡ, ᲖᲕᲘᲠᲗᲘ ᲖᲕᲘᲠᲗᲡᲐ ᲛᲔᲓᲒᲠᲐᲗ ᲐᲡᲙᲔᲑᲐ.
ᲜᲣ ᲓᲐᲘᲧᲝᲜᲔᲑᲗ, ᲛᲔᲒᲝᲑᲐᲠᲜᲝ, ᲗᲥᲕᲔᲜ ᲒᲔᲜᲐ-ᲪᲕᲐᲚᲔ!
ᲐᲮᲚᲐ ᲧᲝᲕᲔᲚ ᲬᲣᲗᲡ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲒᲔᲛᲘ ᲩᲕᲔᲜ ᲒᲕᲔᲚᲝᲓᲔᲑᲐ.
ᲛᲝᲓᲘᲗ, ᲐᲕᲘᲦᲝᲗ ᲗᲐᲕᲒᲐᲜᲬᲘᲠᲕᲘᲗ ᲜᲘᲩᲑᲔᲑᲘ ᲮᲔᲚᲨᲘ,
ᲐᲛ ᲛᲦᲔᲚᲕᲐᲠ ᲖᲦᲕᲐᲨᲘ ᲨᲔᲕᲐᲪᲣᲠᲝᲗ ᲔᲡ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲜᲐᲕᲘ,
ᲛᲔᲓᲒᲠᲐᲗ ᲒᲐᲕᲡᲬᲘᲝᲗ, ᲜᲣ ᲨᲔᲕᲓᲠᲙᲔᲑᲘᲗ ᲗᲕᲘᲗ ᲒᲐᲜᲡᲐ-ᲪᲓᲔᲚᲨᲘ,
ᲕᲘᲓᲠᲔ ᲡᲐᲛᲣᲓᲛᲝᲗ ᲐᲠ ᲒᲕᲘᲛᲢᲧᲣᲜᲔᲑᲡ ᲫᲐᲚ-ᲦᲝᲜᲔ ᲛᲙ-ᲚᲐᲕᲘ!
ᲐᲥ, ᲜᲐᲕᲗ-ᲡᲐᲓᲒᲣᲠᲨᲘ, ᲛᲝᲕᲘᲧᲕᲐᲜᲝᲗ ᲘᲡ ᲒᲔᲛᲘ ᲩᲕᲔᲜᲘ,
ᲗᲕᲐᲠᲐ, ᲛᲔᲠᲬᲛᲣᲜᲔᲗ ᲘᲥ ᲣᲩᲕᲔᲜᲝᲗ ᲓᲐᲘᲚᲣᲞᲔᲑᲐ
ᲓᲐ ᲩᲕᲔᲜ-ᲙᲘ, ᲫᲛᲐᲜᲝ, ᲨᲔᲕᲘᲥᲜᲔᲑᲘᲗ ᲛᲝᲦᲐᲚᲐᲢᲔᲜᲘ,
ᲬᲧᲔᲕᲚᲘᲗ Ძ !ᲙᲠᲣᲚᲕᲘᲗ ᲛᲝᲒᲕᲘᲮᲡᲔᲜᲔᲑᲡ ᲨᲗᲐᲛᲛᲐᲕᲚᲝᲑᲐ!
ᲛᲐᲨ, ᲐᲛᲮᲐᲜᲐᲒᲜᲝ, ᲠᲐᲡ ᲣᲧᲣᲠᲔᲑᲗ, ᲨᲔᲛᲝᲙᲠᲑᲘᲗ ᲛᲐᲚᲔ!
ᲐᲰᲐ, ᲖᲦᲕᲐ ᲦᲔᲚᲐᲕᲡ, ᲖᲕᲘᲠᲗᲘ ᲖᲕᲘᲠᲗᲡᲐ ᲛᲔᲓᲒᲠᲐᲗ ᲐᲡᲙᲔᲑᲐ.
ᲜᲣ ᲓᲐᲘᲧᲝᲜᲔᲑᲗ, ᲛᲔᲒᲝᲑᲐᲠᲜᲝ, ᲗᲥᲕᲔᲜ ᲒᲔᲜᲐᲪᲕᲐᲚᲔ!
ᲐᲮᲚᲐ ᲧᲝᲕᲔᲚ ᲬᲣᲗᲡ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲒᲔᲛᲘ ᲩᲕᲔᲜ ᲒᲕᲔᲚᲝᲓᲔᲑᲐ.

*
* *

ალი კლდე გასკდა, ნაკადი
გამოჩუხჩუხდა ანკარა
და ბუჩქ-ბალახებს, ყვავილებს
თვის მოვლინება ახარა.

„აყვავდით, — ჩაურაკრაკა, —
გარდაიფურჩქნეთ ველათო,
ნუ შეუდრკებით გვალვასა,
მოვლენილს თქვენდა მწველათო;
  თან მომაქვს ძალა სიცოცხლის —
ეს შვების ნაკადულიო,
უხვათ მოგირწყავთ ფესვებსა,
რომ გაგიმთელდეთ წყლულიო!“
  და თან ჩუხჩუხით გასწია,
ტყე-მინდორ-ველი დაღარა,
შხეფებით მორწყა მიდამო,
გამოაცოცხლა, ახარა.

  შენ სად ხარ, თავისუფლებავ,
ნაკადო ნეტარებისა?
ამოჩუხჩუხდი, გვაპკურე
ჩაგრულთ შხეფები შვებისა!
  ჩვენცა გვწვავს გვალვა მონობის,
ტანჯვას არა აქვს საზღვარი,
მსხვერპლი მსხვერპლს მისდევს უმანკო,
გაისმის კვნესა საზარი!

ქუჩაზე.

ამთრის ცივი ღამე არის,
ცაზე არ სჩანს ბადრი მთვარე:
ქარიშხალი დაზუზუნებს,
კენესის, გმინავს არე-მარე.

ქოხები ძილს მისცემია,
დიდ დარბაზში ლხინი არი:
როიალი სჰექს და გრგვინავს,
აქ ცეკვაა, იქ—ხარხარი...

გარეთ, იქვე კედლის ძირას,
ტანჯული და წამებული,
შრომის შვილი გდია, ძინავს,
საცოდავათ მოკრუნჩული.

სიზმარშია. თვალ-წინ უდგას
წარსული და აწმყო მწარე,
და ძილშიაც ვერ ისვენებს,
არ შორდება სიმწუხარე.

ბოდავს: „შორს, ნუ მოდიხარ
შე სულხავო, მყრალო მგელო,
რომ შემჭამო ძვლათ ქცეული,
რას შეიძენ საძაგელო?!

ჩამომეხსენ შენც, დარაჯო,
დეე, ვეგდო აქ ბედკრული:
ქუჩის აღზრდილს, ქუჩაზედვე

ამომხდეს მე ბარემ სული!“
  და, სიცივით გათოშილი,
ძიგძიგებს და ცრემლათ დნება.
ქარიშხალი თავს დაღმუის,
თითქო ამას ეუბნება:
  „ოხ, ბედკრულო, აღსდეგ, აღსდეგ,
გაიღვიძე, გამოფხიზლდი,
განთიადი უკვე მოსჩანს,
ცასა ფარავს მხოლოდ ბინდი;
  აწ საცაა მზეც ამოვა,
სხივებს მოფენს არე-მარეს
და გაგითბობს გაყინულ გულს,
ცრემლს შეგაშრობს თვალზე მწარეს!

ზღვას.

ზღვაო, აღელდი, აღელდი,
ვირთი ზვირთს კარი ძალზედა,
შემუსრე სალი, რომელიც
წამოგჯდომია თავზედა.
ნუ შეუდრკები ბუმბერაზს,
ის შენ ვერ გაგიმაგრდება,
რა გამოუთხრი დაბლა ძირს,
თავყირა გადმოვარდება.
ვინც იბრძვის მედგრათ, მხოლოდ ის
მიაღწევს გულის საწადელს,
გზას გაიკაფავს ეკლიანს,
დღეს გაითენებს სანატრელს;
ის-კი ვინც მარტო ცრემლებს ღვრის,
და გულ-ხელ-დაკრეფილია,—
ტანჯვაში დალევს ტანჯულ სულს
სევდისგან განგმირულია.
მაშ, ზღვავ, აღელდი, აღელდი,
ზვირთი ზვირთს კარი ძალზედა,
შემუსრე სალი, რომელიც
წამოგჯდომია თავზედა.
ნუ შეუდრკები ბუმბერაზს,
ის შენ ვერ გაგიმაგრდება,
რა გამოუთხრი დაბლა ძირს,
თავყირა გადმოვარდება!

ს ი მ ღ ე რ ა.

ამაოთ სცდილობთ, ჩვენო მტარვალნო,
მოგვახრევინოთ მონურათ ქედი,
ამას არ ვიზამთ არა და არა,
გინდ დაგვწვათ ცეცხლში, როგორც აბედი!

ჩვენ, ტანჯვის ცეცხლში უკვე ნაწრთობთა,
ტანჯვის ისრების არ გვეშინია:
დეე, გვესროლეთ! ჰა, ჩვენი გული!
ტანჯვა, იცოდეთ, ჩვენთვის ლხინია!
მხოლოდ ტანჯვაში მტკიცდება ძალა
უსამართლობის დამამხობელი,
და იბადება აზრი დიადი
დუხჭირ ცხოვრების გამაქრობელი.
ეს კარგათ ვიცით. და ამის შემდეგ
განა ჩვენ ტანჯვას შევუშინდებით,
და თქვენს წინაშე მოვიხრით ქედსა,
ისე წავხდებით, დავძაბუნდებით?
არა და არა! ვიდრე ძალ-ღონე
გვაქვს და გვექნება, ქვეყნათ ვიქნებით
სულ ვებრძოლებით მხნეთ და უშიშრათ,
ან გავიმარჯვებთ, ან შევაკვდებით!

ავათმყოფის გოდება.

(სააღდგომო)

ამეა ბნელი, ჯოჯოხეთური,
მაღლა ცა არ სჩანს, ძირს არე-მარე,
ყველგან წყვდიადი ძეფობს წყეული,
შავსა ღრუბელსა ჩაუნთქავს მთვარე!

ღამის ტრფიალნი—კუდიანები
დაწანწალობენ ტყე-მინდორ-ველათ,
რომ ხელში იგდონ საკბილოები
„დედო რუკაპის“ მისართმეველათ!

ოხ, რა ღამეა!.. ნეტა როდემდის
უნდა ვიტანჯო ამ სიბნელეში?
ხომ არ მოვკვდები გათენებამდის?
დღეს ხომ ვიხილავ ჩემ სიცოცხლეში?

ოხ, მიპასუხეთ! იმედის სხივი
მოფინეთ ჩემს გულს, სევდით დაღარულს,
რომ გაიფანტოს ფიქრები შავი,
მივეცე წუთით შვება-სიხარულს!

არ მსურს სიკვდილი, მინდა სიცოცხლე.
მინდა ვიხილო მეც განთიადი,
მინდა გამეფდეს ქვეყნათ სინათლე,
რომ მის ფეხთა ქვეშ გაქრეს წყვდიადი!

მსურს დიდებულ დღეს ქრისტეს აღდგომას.
დავესწრო სახე გაბრწყინებული,
თვალით ვუყურო მტარვალთ დამხობას,
ვნახო სიმართლე გამარჯვებული!

† დ ე დ ა ს.

ნუ სტირი, დედავ, დაკარგულ შვილსა!.
ის შვილი განა სატირალია,
ვინც თვისი ნიჭი, ცოდნა, ძალ-ღონე
ხალხის სამსახურს მთლათ შეალია!?
ნუ სტირი, დედავ, დაკარგულ შვილსა!..
ის არ მომკვდარა, ცოცხალი არი:
მან ხალხის გულში დაიდგა ძეგლი
სამარადისო, დაუვიწყარი.

გაზაფხული.

აგვიზაფხულდა! სიცოცხლის ძალამ
იფეთქა... გაქრა ზამთარი ცივი,
და შეიმუსრა ყინულთ ბორკილი,
რა მოხვდა გულში მზის თფილი სხივი.

ისევ გაცოცხლდა მკვდარი ბუნება:
აყვავდა ბარი, აყვავდენ მთები,
და წალკოტებში ათას ფერადათ
გარდაიფურჩქნენ ვარდ-ყვავილები.

ტყე შეიმოსა ზურმუხტის ფერათ,
მწვანე მანტია გარს მოიხვია,
და, თითქო ნიშნათ სიყვარულისა,
ფოთოლი ფოთოლს გადაეხვია...

თვით სიხარული გამეფდა ქვეყნათ,
შორს, შორს გაისმის ნეტარი ხმები:
აქ ბულბული სტვენს, იქ შაშვი გალობს,
მათ ბანს აძლევენ სხვა ფრინველები.

ახ, რა კარგი ხარ შენ, გაზაფხულო,
დიად ზაფხულის წინამორბედო!..
ვაშა!.. დიდება შენს მოვლინებას,
ქვეყნის ნუგეშო, ქვეყნის იმედო!

განა ეს მოსათმენია?

ავებში გამოხვეული,
თმა გაწეწილი, მწუხარე,
კვნესის, ქვითინებს, სალომე,
ცრემლი ცრემლზე სდის მდუღარე.
წინ უძევს შვილის ცხედარი
მტარვალთა ხელით მოკლული,
როდესაც უსამართლობას
ებრძოდა გააფთრებული.
თავზე ადგია საბრალო
და მოთქვამს: „შვილო, შვილოო,
ვაი-ვაგლახით ნაშობო
და ტანჯვით გამოზდილო.
შენ იყავ ჩემი ნუგეში,
პატრონი ერთად ერთიო,
ჭირის და ლხინის მიზეზი
და სალოცავი ღმერთიო.
მაგრამ შენც ბოლო მოგიღო
მტარვალთ ბოროტმა ხელმაო,
სამართლისათვის მებრძოლსა
უსამართლობის მცველმაო...
და შვილის ცხედარს საბრალო
ზედ ეკონება, აკვდება,

განგმირულ გულ-მკერდს უკოცნის,
მდუღარე ცრემლათ ადნება.

. . . . .
. . . . .
. . . . .
. . . . .

ამონაკვნესი.

ტრედის ფერ ცაზე სქელი ღრუბელი
კადაპენტილა, ვით ბამბის ქულა,
და მზე, მწათობი ცისა და ქვეყნის,
იმის სიღრმეში სრულათ ჩანთქმულა.

შემოდგომისა ცივი ქარი ქრის,
ტყე იძარცვება, სცვივა ფოთოლი,
და არე-მარე სულ-შეხუთული,
გმინავს, ქვითინებს, როგორც ობოლი.

მას ჩემი გულიც ბანს აძლევს შორით,
თვალებსა სცვივა ცრემლი ანკარა...
ეჰ, ან კი რა მაქვს სასიხარულო,
როცა ყველა კვნესს—დიდი, პატარა!

შეგნებული გლეხის სიმღერა.

ბლეხის შვილი, მიწის მუშა,
მიწაზედვე მიჯაჭული,
დღე-და-ღამეს შრომაში ვლევ,
მაინც არ მაქვს ლუკმა პური!
  მე ვმუშაობ, მით სხვა ძღება,
რატომ ხდება ასე ესა?
ფუი იმას, ვინც ამართლებს
და მხნეთ იცავს ამგვარ წესსა!
მუდამ ვწვალობ, მუდამ ვკვნესი,
არ მშორდება მწუხარება,
ნუ თუ ამ სატანჯველსა
ბოლო აღარ მოეღება?
  მაგრამ აგერ დაკრა წამმა
და გამოკრთთა განთიადი...
მზე ამოდის... აწ საცაა
გათენდება დღე დიადი!

. . . . .

*
* *

ცნებავ! ფრთები შემასხი,
მასტუმრე ფიცხო მხარესა,
სადაც ადგილი არა აქვს
ტანჯვას და სიმწუხარესა;
საერთო შრომა ბატონობს,
თანასწორია სუყველა
ერთი მეორეს არ ჩაგრავს,
სისხლს არ სწოვს როგორც წურბელა...
  მსურს წუთით მაინც გავშორდე
ამ ბოროტების ზღუდესა,
ტანჯვა-წამების სამეფოს
უსამართლობის ბუდესა,
და იქ, იმ ტურფა მხარეში,
დავიცხრო გულის ტკივილი,
მივეცე ნეტარებასა,
შევსწყვიტო კვნესა, ჩივილი!..

ᲐᲛᲝᲜᲐᲙᲕᲔᲡᲘ.

ᲐᲠᲢᲝ ᲕᲐᲠ... ᲩᲔᲛᲡ ᲒᲐᲠᲨᲔᲛᲝ
ᲑᲣᲜᲔᲑᲐ ᲠᲝᲤᲣᲠᲩᲜᲔᲑᲐ,
ᲛᲓᲔᲚᲚᲝ ᲧᲕᲐᲕᲘᲡ ᲛᲘᲜᲓᲝᲠᲘ
ᲐᲗᲐᲡ ᲤᲠᲐᲗ ᲘᲥᲐᲠᲒᲔᲑᲐ.

ᲢᲧᲔ ᲮᲛᲐᲣᲠᲝᲑᲡ, ᲜᲘᲐᲕᲘ
ᲤᲠᲗᲐ ᲒᲐᲨᲚᲘᲚᲘ ᲓᲐᲤᲠᲘᲜᲐᲕᲡ,
ᲜᲐᲯᲐᲓᲘ ᲛᲝᲥᲣᲮᲡ, ᲜᲐᲛᲘ
ᲑᲣᲩᲩ-ᲑᲐᲚᲐᲮᲔᲑᲨᲘ ᲑᲠᲬᲧᲘᲜᲐᲕᲡ.

ᲧᲐᲧᲐᲩᲝ ᲬᲘᲗᲚᲐᲗ ᲦᲕᲘᲕᲘᲡ,
ᲘᲐᲡ ᲭᲠᲔᲚᲘ ᲞᲔᲞᲔᲚᲐ
ᲙᲝᲪᲜᲘᲡ, ᲔᲐᲚᲔᲠᲡᲔᲑᲐ,
ᲗᲐᲕᲡ ᲔᲕᲚᲔᲑᲐ ᲜᲔᲚ-ᲜᲔᲚᲐ.

ᲨᲝᲨᲘᲐ ᲢᲙᲑᲘᲚᲐᲗ ᲒᲐᲚᲝᲑᲡ.
ᲨᲐᲨᲕᲘ ᲑᲐᲜᲡ ᲔᲣᲑᲜᲔᲑᲘ
ᲓᲐ ᲡᲐᲜᲔᲢᲐᲠᲝ ᲮᲛᲔᲑᲘ
ᲛᲘᲓᲐᲛᲝᲡ ᲔᲤᲘᲜᲔᲑᲐ...

ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲩᲔᲛᲡ ᲒᲣᲚᲡ ᲑᲣᲜᲔᲑᲘᲡ
ᲡᲘᲢᲣᲠᲤᲔ ᲕᲔᲠ ᲘᲖᲘᲓᲐᲕᲡ,
ᲤᲘᲥᲠᲔᲑᲘ, ᲕᲘᲗ ᲛᲗᲐᲡ ᲜᲘᲡᲚᲘ,
ᲛᲔᲮᲕᲔᲕᲐ, ᲡᲣᲚᲡ ᲛᲘᲮᲣᲗᲐᲕᲡ.

ᲗᲕᲐᲚ-ᲬᲘᲜ ᲛᲘᲓᲒᲐᲡ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡ
ᲕᲔᲚᲘ ᲡᲘᲡᲮᲚᲘᲗ ᲛᲝᲠᲬᲧᲣᲚᲘ,
ᲕᲗᲕᲚᲘ, ᲕᲐᲜᲒᲐᲠᲘᲨᲝᲑ ᲛᲡᲮᲕᲔᲠᲞᲚᲔᲑᲡ
ᲓᲐ ᲛᲬᲐᲠᲔᲗ ᲛᲘᲙᲕᲜᲔᲡᲡ ᲒᲣᲚᲘ.

მ ჯ ე დ ე ლ ი.

ეიგო! ქურას დაუბერე,
მოიმარჯვე ხელში კვერი,
დაკარ ბორკილს, ბარემ დროზე
გამოვეკედოთ ეს ოხერი!
კარგათ ვიცით ამ ბორკილებს
დაადებენ ჩვენს ძმებს, შვილებს
და ტანჯავენ, აწამებენ
მით სიმართლის მოციქულებს.
მაგრამ, ძმაო, ვარი რომ ვთქვათ,
სისხლს გვადენენ ცხვირ და პირში,
„ბუნტოვჩიკათ„ მოგვნათლავენ,
გაგვგზავნიან შორს, ციმბირში.
და თუნდ ა'ეკ რომ არ იყოს,
შიმშილიც ხომ ძალას გვატანს
ავასრულოთ მტრის სურვილი,
როცა საქმეს კი მოგვიტანს?
მაშ ასწიე, ძმაო, კვერი,
დატრიალდი, გაინძერი,
დაკარ მედგრათ, ბარემ დროზე
გამოვეკედოთ ეს ოხერი!

ამოწაკვნესი.

ენ კატორღაში სულს ლევ უდროვოთ
წამების ჯვარზე ხელ-ფეხ გაკრული...
ის ბრძოლის ველზე სისხლში მოსვრილი
გდია მტრის ტყვიით გულგანგმირული...
ეს აქ, ქუჩაზე ებრძვის შიმშილსა,
გმინავს, თვალთაგან სდის ცრემლის ღვარი...
ოხ, როდის, როდის გაქრება ნეტა
შავი ცხოვრება ეს საზიზღარი?!

მტარვალს.

ვაც გინდა, ის ქენ, მტარვალო,
როგორც გსურს ისე მოგვეპყარ,
გინდ შორ მხარეს გაგვაგზავნე
გინდა ციხეში შეგვიპყარ;
გინდ ჩამოგვახჩვე, გვაწამე,
ხანჯლით გაგვიპე გულ-მკერდი,
გინდ საკირეში ჩაგვყარე
და დაგვწვი, როგორც აბედი,—
ჩვენ მაინც, ვინც კი დავრჩებით,
ვფიცავთ, ან ფიცი რათ გვინდა,
ზურგს არ შევაქცევთ ბრძოლის ველს,
სანამ არ ვპოვებთ რაც გვინდა.
ერთი ათასათ ვიქცევით,
ათასი—მრავალ რიცხვათა
და შეერთებულ ძალ-ღონით
მოგეელინებით რისხვათა.

. . . . .
. . . . .
. . . . .
. . . . .

გმირის საფლავზე.

ამეა მთვარეს სხივები
ტოტებში გაუძვრენია
და ხალხის გმირის საფლავზე
ვერცხლის ფრათ მოუფენია!
იქვე, გაფურჩქნულ ბუჩქებში
ზის ხმა-რაკრაკა ბულბული
და ტკბილათ უსტვენს, უგალობს,
რომ მით დაატკბოს ტანჯული:
„იხარე, გმირო, იხარე,
ხალხი კვლავ იბრძვის, ლომგულობს
და მღერს, მის სისხლის მწოველსა,
განადგურებას უპირობს!
თუმცა მტარვალმა შენსავით
ბევრს გაუგმირა გულ-მკერდი,
მაგრამ ვინც დარჩა, მხნეთ ერის,
არ დაკარგვია იმედი.
სწამს, გაიმარჯვებს ბოლო დროს,
დაამხობს ტახტსა მტრისასა
და მის ნანგრევზე ამართავს
სიმართლის დროშას თვისასა!“
ასე უგალობს ბულბული...
მთვარე-კი აფრქვევს სხივებსა,
გულზე აქარგავს გმირთა-გმირს,
ვით მარგალიტის მძივებსა!

ისევ დაღამდა.

ისევ დაღამდა სხივი სინათლის
საზარელ ბნელმა შთანთქა, დაფარა,
ტანჯულ ქვეყანას მწუხარებისა
შავი ზეწარი გადაეფარა!
ზღვა დგას უძრავათ, ხმა გაკმედილი,
თითქო ძალ-ღონე გამოლეეია,
ძირს დაუშვია დროშა ბრძოლისა,
გარს ნისლ-ბურუსი მოუხვევია!
და ვეშაპი კი დღესასწაულობს,
თან ატრიალებს სიკვდილის ცელსა,
მუსრს ავლებს ყველას, ვინც თაყვანს არ სცემს,
უმანკო სისხლში იღებავს ხელსა.
ვხედავ რა მე ამ საზარელ სურათს,
კაეშნის ალი გულზე მედება,
მაგრამ იმედსა მაინც არ ვკარგავ,
მრწამს: დაკრავს წამი, კვლავ გათენდება;
ზღვა ისევ შედგრათ დაიგრიალებს,
ტალღა ტალღასა დაეჯახება,
შემუსრავს ვეშაპს... და ჩვენს ბნელ ცაზე
მზე სხივ გაშლილი ამობრწყინდება!

ზღვას.

ზღვაო! რას დგეხარ, რათ არ ღელავ, რათ
არ ტრიალებ,
ზვირთებს ზვირთებზე რათ არ ისვრი, რათ
არ გრიალებ?
რამ დაადუმა ეგ შენი ხმა, მედგრათ მქუხარე
მდა რისთვისა ხარ მოწყენილი, ეგრე მწუხარე?
რამ შთანთქა შენი ძლიერება, სად მიიმალა,
ვინ დაიპყრო ისა ვის შესწევდა სამისო ძალა?!
ეგება იგრძენ შენ სისუსტე, მოხარე ქედი,
ტარვალს მიანდე შენი საქმე და შენი ბედი?!

. . . . .

მაშ რისთვის დგეხარ? ააგორე, ზღვაო, ზვირთები,

. . . . .

ესროლე მტარვალს, ნუ შედრკები, ნუ შეშინდები!
დეე მოიხმოს გველ-ვეშაპნი, ბოროტი ძალნი
და მოგისიოს შესამუსრათ ის საზიზღარნი.

. . . .

ის ვერ გაგიძლებს, ვერ მოიკრეფს ძალას სამისოდ,
და ჩაინთქება შენს უფსკრულში სამარადისოდ!
მაშ რას უყურებ ააგორე, ზღვაო, ზვირთები,
ესროლე მტარვალს, ნუ შედრკები, ნუ შეშინდები!!

ჩვენ წინ მივდივართ.

ჩვენ წინ მიდივართ... უკან გვრჩება ქვეყანა ძველი,
ქვეყანა, სადაც ბატონობენ ბნელი ძალები,
ტანჯული ხალხი კვნესის, გმინავს მძიმე, უღელ ქვეშ,
უთვალავია სიმართლისთვის წამებულები.

ჩვენ წინ მივდივართ გაბედულათ ახალ ქვეყნისკენ
სადაც არ არის არც მჩაგვრელი, არც დაჩაგრული,
† თანასწორობას გაუშლია თავისი დროშა,
გამეფებულა თვით ერთობა და სიყვარული.

ჩვენ წინ მივდივართ... ჩამოდექით ბოროტო ძალნო!
ვერ შეგვაშინებს თქვენი ტყვია და სახრჩობელა!
მუდამ ვიბრძოლებთ თავგანწირვით, ვიდრე ჩვენს ცაზე,
არ გამოჩნდება გამარჯვების, თვით ცისარტყელა.

გ ა ნ თ ი ა დ ს.

ეხ, განთიადო, განთიადო შუქმოელვარე!
მახსოვს, როცა შენ ცის კიდურზე სხივებ-
გაშლილი
ამოკაშკაშდი და სამყარო ააელვარე,
განგმირე ბნელი გულის მკვლელი სქელათ გაშლილი.
მახსოვს, ბუჩქებში ბულბულმა მყის ტ იფრთხიალა,
სიხარულისგან აუტოკდა სიამით გული,
ჩანგსა ჩამოკრა, სიმნი ტკბილათ ააწკრიალა,
„ქებათა-ქება“ მოგიძღვნა შენ აღტაცებული.
მეც ფრთა შევისხი, გავაკეთე ცაში კამარა,
მინდოდა ყელზე მოგხვევოდი, ჩამეკარ გულში
და შენთან ერთათ, შენს სხივებ ქვეშ მეც მენეტარა,
მომკვდარვიყავ შენს ალერსში, შენს სიყვარულში.
მინდოდა... მარა ღრუბელი მსწრაფლ გადაგეფარა!
შევკრთი სიმწარით, ძირს დავეშვი ფრთებშეკვეცილი,
აკვნესდა სული, თვალებს მოწყდა ცრემლი ანკარა
და დაასველა არემარე მწვანით მოსილი.
მაგრამ იმედი მაინც კიდე მიღვივის გულში,
მრწამს, კვლავ ვიხილავ შენს ვარდის ფერ სახეს
გაბადრულს
და აღტაცებით მოგეხვევი... შენს სიყვარულში
სიამოვნებით განუტევებ უღვთოთ ტანჯულ სულს!

ᲨᲔᲕᲐᲠᲓᲔᲜᲘ.

ილათაა, დილა ლამაზი,
მზე უხვათ აფრქვევს სხივებსა,
გულზე აქარგავს ქვეყანას,
ვით მარგალიტის მძივებსა,.

მაღლა, ჰაერში, შევარდენს
ფრთა გაუშლია, სრიალებს,
თან სხვებსაც იწვევს, უძახის,
მასავით მედგარ ფრთიანებს.

მღერის: შემოკრბით, ფრინველნო,
ხელი ხელს მივცეთ ძმურათა,
მაღალ მთისაკენ გავსწიოთ
უშიშრათ გაბედულათა.

და იქ ჩვენს მტარვალს—არწივსა
მივუხდეთ, დავცეთ თავზარი,
ფრთა შევაკვეცოთ ულმობელს,
დღე გაუთენოთ საზარი!

კმარა რაც გვტანჯა, გვაწამა
და ინადირა, ჩვენზედა,
მწარეთ გვაკვნესა, მდუღარე
ცრემლი გვადინა თვალზედა.

აწ ჩვენც მივაგოთ სანაცვლო,
ეს თვით ბუნების წესია:

ყველამ ის უნდა მოიმკოს,
რაც თვითვე დაუთესია.
მაშ, მო, შემოკრბით, ფრინველნო,
ძალი ძალს შევუკავშიროთ
და ჩვენი სისხლის მწოველი
სამუდმოთ გავანადგუროთ!
მით მოვიპოვებთ, იცოდეთ,
თავისუფლებას სანატრელს,
გზას გავიკაფავთ მიზნისკენ,
მივაღწევთ გულის საწადელს!“
და დასრიალებს ჰაერში
გარს იკრებს ტოლებს მრავალსა;
რომ შეერთებულ ძალ-ღონით
თავზარი დასცენ მტარვალსა.
მზე-კი კაშკაშებს ლაჟვარდში,
აფრქვევს და აფრქვევს სხივებსა,
გულზე აქარგავს ქვეყანას,
ვით მარგალიტის მძივებსა.

ბოგანო.

ესახლ-უკარო, ლატაკი
ძველებში გამოხვეული,
ხელ-დაკოჟრილი, ფერ-მკრთალი,
თითქმის ძვალ-ტყავათ ქცეული,
ქარხნის მოწამლულ ჰაერში
აღამებს, ოფლს ღვრის შრომაში
და თანვე ფიქრობს ბედკრული
ჩანთქმული შავ ფიქრთ გროვაში:
„რა ვარ მე? მუშა ბოგანო.
რა მქვია? სხვისთვის მშრომელი:
ჩემით სხვა იძენს, მდიდრდება,
მე ლუკმას ვნატრობ დღე ბნელი!
მერე რათ ხდება ეს ასე,
ის „სხვაც“ ხომ ჩემისთანა ?..
ეჰ, სჯობს დავეხსნე ამ კითხვას,
ეს ძნელი გამოცანაა!
მაგრამ ეს რა ვთქვი? ფუ ჩემს თავს!
დროა მოვიდე ჭკუა-გონს,
ავხსნა, შევიგნო ყოველი
და შევებრძოლო ჩემს „ბატონს“!
და, ტანჯვის ცეცხლში ნაწრთობი,
ძალ-ღონეს იკრეფს, მხნევდება,

ხელს აძლევს მისებრ ჩაგრულებს
და მტკიცეთ უკავშირდება:
რომ გაიკაფონ მიზნისკენ
გზა ნარ-ეკალით მოსილი,
ეწვიონ „აღთქმულ ქვეყანას„
სრულიად ძლევამოსილი.

ციმბირში მიმავალი.

ეშვიდობით, ჩემო სამშობლო მხარეევ!
გშორდები, მივალ შორს, შორს, ციმ-
ბირში:
აწ ის იქნება ჩემი სავანე,
ის ჩამიხუტებს თავის ცივ გულში,
ეს არის, დიახ, ეს ჩემი ხვედრი
მე ცხოვრებაში ეს მერგო წილათ!
ასე ინებეს „ქვეყნის მამებმა“!
რადგანაც მიცვნეს მავნებელ შვილათ
რატომ?-იმიტომ, რომ მე გავბედე
და გავარჩიე თეთრისგან შავი,
კეთილი ვაქე, ბოროტი ვაჭვმე,
მწარეთ გავკიცხე გასაკიცხავი.
ტანჯულ ხალხს თვალ-წინ დავუდგი სარკე,
შიგ დავანახე თავისი თავი,
გამოვაფხიზლე, გონს მოვიყვანე,
ვამცნე ვინც იყო მისი მჩაგრავი...
დიახ, ამისთვის მარგუნეს წილათ
ცივი ქვეყანა, ცუდი სადგური,
რომ აქ უპკუომ, აწი იქ მაინც
ვისწავლო ჭკუა, ჭკუა მონური!
მაგრამა, ვფიცავ, რაკი ერთხელვე

მე ბრძოლის ველზე-კი შევდგი ფეხი,
ქედს არ მოვიხრი, არა და არა,
ვიდრე არ გამსრეს ცხოვრების ეეხი!
რაც სათქმელი მაქვს, პირდაპირ ვიტყვი,
დაუფარავათ, მოურიდებლათ;
უსამართლობას შევებრძოლები,
ვიქნები მარად სიმართლის მცველათ.
ეგ-კი მშვიდობით, ჩემო სამშობლოვ,
უკანასკნელათ მომეცი ხელი,
რომ გეამბორო, გამოგეთხოვო
და გზას გაუდგე ქედ-მოუხრელი!

როკაპის მწუხარება.

ამეა სევდის მომგვრელი,
ცას აკრავს შავი ზეწარი,
მთვარე არ ბრწყინავს კაშკაშა,
წყვდიადს ჩაუნთქავს მთა-ბარი.
მგლოვიარეა ბუნება,
არ გააქვს შრიალ ბიბინი,
მპოლოდ შორს მოსჩანს სინათლე
და, ისმის ბრძოლის ყიჟინი.

ბრუტსაბაელაზე „როკაპი“
ზის ფერმიხდილი, მწუხარე,
გულს სევდა უღრღნის, თვალებში
ცრემლი უბრწყინავს მდუღარე.
ხედავს, რომ ბოლო ეღება
მას და მის ბატონობასა,
და სული უკვნესს, ეძლევა
უსაზღვრო მწუხარებასა.

შესცქერენ „კუდიანები“
და კანკალობენ შიშითა.
„რა მოხდა, ჩვენო იმედო?!“
ეკითხებიან ვიშითა.

და ისიც, დაღონებული
სინათლისაკენ უთითებს,
და ეუბნება: „აი ის
გულს მიკლავს, სულსა მიწუხებს.“

—გამხნევდი ქვეყნის მპყრობელო!
ანუგეშ-აიმედებენ.
„მუსრსა გავაელებთ შენს მტრებსო!“—
მტკიცე პირობას უდებენ.
მაგრამ მას მაინც არ სჯერა
იმათი დანაპირები,
და მწუხარებით აქნევს თავს
თვალზე ცრემლ მონადინები.

ცის, სინათლეს თან მოსდევს
მებრძოლთა ჯარი ძლიერი,
მისგანვე უღვთოთ ტანჯული,
ულუკმა-პურო, მშიერი,
რომელიც მის ტახტს სამუდმოთ
განადგურებას უქადის,
რომ მოიპოვოს უფლება,
რასაც ნატრობდა აქამდის.

ღამეა სევდის მომკვრელი,
ცას აკრავს შავი ზეწარი,
მთვარე არ ბრწყინავს კაშკაშა,
წყვდიადს ჩაუნთქავს მთა-ბარი;
მგლოვიარეა ბუნება,
არ გააქვს შრიალ-ბიბინი,
ნეხოლოდ შორს მოსჩანს სინათლე
და ისმის ბრძოლის ყიჟინი.

*
* *

ამ სოფლათ ტანჯულს მეგონა
სამოთხე იყო ზეცადა,
და ერთხელ მაინც მენახა
გულით მინდოდა, მეწადა.

ფრთა ფრთას შემოვკარ, გავფრინდი,
ჰაერში შევინავარდე,
მთვარეს ავშორდი, მზეს ავცდი,
ვარსკვლავნი მოვინავარდე.

არ დამიგდია ზეცისა +
არც ერთი კუთხე, ნაპირი,
მაგრამ, მის ნაცვლათ, სულ სხვა რამ
ვიხილე გულის გამგმირი:

ყინვა მეფობდა ყოველგან,
სიცოცხლის ძარღვი არ სცემდა,
არც ჭირი იყო, არც ლხინი,
მკდრული სიჩუმე სუფევდა.

გული მეტკინა... დავბრუნდი.
მთელათ შემეზიზღა მყისვე ცა
ვთქვი: თურმე აქვე ყოფილა
სამოთხეც, ჯოჯოხეთიცა!

ამონაკვნესი.

ოხ, ისევ მსხვერპლი!.. სოფელ-ქალაქი
მშრომელთა სისხლით კვლავ შეიღება!
იტირე გულო, იკვნესე სულო,
თვალნო, აფრქვიეთ თქვენც მდუღარება!

ახ, რათ არ ძალმიძს ქარიშხლათ ვიქცე,
აღვგაო ქვეყნათ ბოროტი ძალა,
რამაც ამდენი ადამიანი
ერთათ იმსხვერპლა და ინაცვალა!

ცავ, მოპირქუშდი, დასჭექ-დაქუხე,
გადმოისროლე ისრები ცეცხლის
და მით შემუსრე, გაანადგურე
უპრალოთ მღვრელი მართალთა სისხლის!

ოხ, ისევ მსხვერპლი!.. სოფელ-ქალაქი
მშრომელთა სისხლით კვლავ შეიღება!
იტირე გულო, იკვნესე სულო,
თვალნო, აფრქვიეთ თქვენც მდუღარება!



ნაწყვეტი

(ვუძღვნი გაზეთ „ელვას“)

ოუმც „განთიადს“, დილას მორბედს,
გადაეკრა ზედ ღრუბელი,

ამონაკვნესი.

ეუე, ისევ შენთან მოველი,
რომ სევდა გაგიზიარო,
გითხრა ამბავი ტანჯულთა,
მით გული აგიწრიალო!

ყური დამიგდე, ზურმუხტო,
წამს შეაჩერე შრიალი
და ჩემთან ერთათ შენც შესვი
ნაღველით სავსე ფიალი!

მტარვალი შემოგვესია
მთლათ ბოროტებათ ქცეული,
აგვიკლო, აგვაწიოკა,
აღარვის ინდობს წყეული.

გადასწვა, გაანდგურა,
ქალაქი, დაბა, სოფელი
მუსრი გაავლო ყველაფერს,
რასაც უწია მან ხელი.

ქალებს ნამუსი ახადა,
დაადო შეგინებული,
არ შეიბრალა უმწეო
თვალზე ცრემლ მოდინებული.

მოხუცნი გაამათრახა,
ატირა კვნესა-ვაებით,
და ნიშნათ მორჩილებისა,
აფორთხა მუხლის თავებით.

. . .

. . .

. . .

. . .

ეხ, ტყევ, ვინ მოთვლის რა გვიყო,
ულვთოთ გვტანჯა და გვაწვალა,
სისხლის ცრემლები გვადინა,
შეგვასვა მხამი, სამსალა!

. . .



17 ოკტომბრის სახსოვრათ

ემოდგომისა სუსგიანი ცივი დღე იყო,
ლაჟვარდოვან ცას გადაკვროდა სქელი ღრუ-
ბელი,
გრგვინავდა, ელვა ხაზს ავლებდა, იკლაკნე-
ბოდა,
მეხს გავარდნის მოლოდინში იყო ყოველი.
მაგრამ უეცრათ გაიფანტა შავი ღრუბელი,
მზე სხივ გაშლილი გამობრწყინდა, გამოკაშკაშდა,
მას სიხარულით მიეგება ყველა სულ-დგმული,
შვვარდენმა-კი მხოლოთ ეჭვი გამოაცხადა.
„ნთ ენდობითო, — შემოსძახა, — შემდგომის მზეს,
ის კვლავ სქლათ გაშლილი შავ ღრუბელში ამოყო-
ფს თავსო
და ჩვენ კი იმით უმოწყალოთ მოტყუებულებს,
კვლავ სუსხი დაგვკრავს, სიცივე სულს შეგვიხუთავსო!
რა დაასრულა, მართლაც მყისვე დაბნელდა ზეცა
და დღესაც ისევ აკრავს ცასა შავი ღრუბელი,
სასტიკ სიცივეს გაუშლია თავის დროშა,
ვნეისის და გმინავს მის ბრჭყალებში არის ყოველი!

ᲨᲘᲛᲨᲘᲚᲘᲡ ᲛᲬᲮᲕᲔᲠᲙᲚᲘ

ᲒᲐᲑᲠᲐᲚᲝᲗ ᲑᲔᲡᲝᲗ ᲒᲣᲨᲘᲜ ᲛᲗᲔᲚᲘ ᲓᲦᲔ ᲓᲐᲬᲜᲬᲐᲚᲝᲑᲓᲐ.
ᲡᲐᲛᲣᲨᲐᲝᲡᲐ ᲓᲐᲔᲫᲔᲑᲓᲐ, ᲛᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲬᲕᲐᲚᲝᲑᲓᲐ,
ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲐᲠ ᲘᲥᲜᲐ, ᲕᲔᲠ ᲘᲨᲝᲕᲐ, ᲛᲝᲣᲙᲕᲓᲐ ᲒᲣᲚᲘ,
ᲛᲬᲐᲠᲔᲗ ᲐᲙᲕᲜᲔᲡᲓᲐ ᲛᲬᲣᲮᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲪᲔᲪᲮᲚ-ᲛᲝᲓᲔᲑᲣᲚᲘ.
ᲐᲜ-ᲙᲘ ᲑᲔᲓᲙᲠᲣᲚᲘ ᲐᲑᲐ ᲕᲘᲗ ᲐᲠ ᲐᲙᲕᲜᲘᲡᲓᲔᲑᲝᲓᲐ,
ᲠᲝᲪᲐ ᲪᲝᲚ-ᲨᲕᲘᲚᲘ ᲨᲘᲜ ᲛᲨᲘᲔᲠᲘ ᲔᲒᲣᲚᲔᲑᲝᲓᲐ!
ᲓᲐᲡᲐᲚᲐᲛᲝᲕᲓᲐ, ᲛᲖᲔᲛ ᲡᲮᲘᲕᲔᲑᲘ ᲨᲔᲐᲗᲐᲛᲐᲨᲐ.
ᲛᲗᲘᲡᲐ ᲛᲬᲕᲔᲠᲕᲐᲚᲡᲐ ᲗᲐᲕᲡ ᲓᲐᲐᲓᲒᲐ, ᲐᲐᲙᲐᲨᲙᲐᲨᲐ.
ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲑᲐᲚᲨᲘ ᲛᲣᲡᲘᲙᲐᲛᲐᲪ ᲓᲘᲒᲠᲘᲐᲚᲐ
ᲓᲐ ᲡᲐᲜᲔᲢᲐᲠᲝ ᲮᲛᲐᲛ ᲰᲐᲔᲠᲨᲘ ᲒᲐᲘᲬᲙᲠᲘᲐᲚᲐ.
ᲮᲐᲚᲮᲘ ᲥᲣᲩᲐᲨᲘ ᲒᲐᲛᲝᲕᲘᲓᲐ, ᲒᲐᲛᲝᲔᲤᲘᲜᲐ,
ᲠᲝᲛ ᲒᲐᲔᲠᲗᲝᲡ ᲐᲥ, ᲛᲐᲜ ᲓᲠᲝᲔᲑᲘᲗ ᲓᲐᲐᲒᲓᲝ ᲑᲘᲜᲐ.
ᲛᲮᲝᲚᲝᲗ ᲑᲔᲡᲝᲛ ᲙᲘ ᲘᲡᲔᲕ ᲛᲬᲐᲠᲔᲗ ᲐᲛᲝᲘᲒᲛᲘᲜᲐ
ᲓᲐ ᲗᲕᲐᲚᲔᲑᲘᲓᲐᲜ ᲪᲮᲐᲠᲔ ᲪᲠᲣᲛᲚᲘ ᲒᲐᲓᲛᲝᲔᲓᲘᲜᲐ.
ᲛᲐᲡ ᲨᲔᲔᲖᲘᲖᲚᲐ ᲘᲥᲐᲝᲑᲐ, ᲘᲡ ᲐᲠᲔ-ᲛᲐᲠᲔ
ᲓᲐ ᲒᲖᲐᲡ ᲒᲐᲣᲓᲒᲐ ᲨᲘᲜᲘᲡᲙᲔᲜ—ᲡᲐᲮᲔ ᲛᲬᲣᲮᲐᲠᲔ.
ᲕᲘᲜᲪᲔᲡᲐᲜ ᲗᲐᲜ ᲤᲘᲥᲠᲝᲑᲡ, ᲠᲐ ᲭᲠᲔᲚᲘᲐ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ:
ᲖᲝᲒᲘ ᲜᲔᲢᲐᲠᲝᲑᲡ, ᲖᲝᲒᲡ ᲡᲣᲚᲡ ᲐᲫᲠᲝᲑᲡ ᲢᲐᲜᲯᲕᲐ-ᲬᲕᲐᲚᲔᲑᲐ,
ᲕᲘᲜᲪ ᲠᲝᲛ ᲐᲠᲐᲤᲔᲠᲡ ᲐᲠ ᲐᲙᲚᲔᲑᲡ—ᲒᲐᲜᲪᲮᲠᲝᲛᲐᲨᲘᲐ.
ᲕᲘᲜᲪ ᲬᲔᲚᲡ ᲘᲬᲧᲕᲔᲢᲐᲕᲡ, ᲨᲠᲝᲛᲘᲡ ᲝᲤᲚᲡ ᲦᲕᲠᲘᲡ—ᲛᲐᲡ
ᲛᲣᲓᲐᲛ ᲨᲘᲐ...
ᲠᲝᲓᲘᲡ ᲓᲐᲓᲒᲔᲑᲐ ᲓᲠᲝ ᲜᲔᲢᲐᲠᲘ, ᲓᲠᲝ ᲓᲘᲓᲔᲑᲣᲚᲘ,

ყველას ექნება თანასწორი უფლება, პური;
აღარ იქნება ასი მონა, ერთი ბატონი,
ყველა იქნება თავის თვის სრული პატრონი?..
შიადგა ქოხსა. სურს შევიდეს, შეაღოს კარი,
მაგრამ შიგნიდან მოესმა ხმა, ვით გლოვის ზარი:
—მშია, დედიკო, მშია, პური მომეცი მალე!
—მოიცა, შვილო, ცოტა კიდევ, შენ გენაცვალე;
აწ საცა არის მოვა მამა, მოიტანს პურსო
და გამოვიძღებთ, ჩემო, კარგო, ცარიელ კუჭსო.“
და ამ სიტყვებმა გული კიდევ უფრო მოუკლეს.
„სიკვდილი არ სჯობს ამგვარ ყოფას, ამგვარ სიცოცხლეს!
ამოიკვნესა და მიეყრდნო იქვე კარებზე
და დიდიხანს, დიდხანს ქვითინებდა ცრემლით თვალებზე!
მერე შებრუნდა როგორც მხეცი გაშმაგებული,
და ქალაქისკენ გასწია კვლავ აჩქარებული.
ეახვდა მომავალს, გაუყარა მკერდში მახვილი,
იქვე დაგდო სულთმობრძავი, სისხლში მოსვრილი
ამოაცალა თუ რამ ქონდა უბე-ჯიბაში
და სურდა ხელათ გამქრალიყო ღამის წყვდიადში,
მაგრამ მოუსწრო და შეიპყრო ქუჩის დარაჯმა...
და დღეს-კი უკვე ჩამოახრჩო იგი ჯალათმა!

ჩვენი დროის იუდა.

ავჩაღუნული, ვით წმინდანი, მიდის ტ მოდის,
თითქო ცდილობსო ჭიანჭველა არსად გასრი-
სოს,
რომ ლაპარაკობს, მის პირიდან თაფლი ამო-
დის,
კაი კაცობა თავის თავის რომ დაამტკიცოს.
თან ცდილობს მარად, გაგვეცნოს, დაგვიახლოვდეს,
რომ ჩვენსა საქმეს, მოქმედებას თვალს ადევნებდეს.

კენესის და გმინავს ხალხის ჭირზე, ვარამზე,
ვითომ უყვარს ის, მისი მტერი კი ეიზღება,
მაგრამ ნამდვილათ ფიქრობს იგი სულ სხვა რამეზე:
უნდა გაიგოს ამით ჩვენი სულის კვეთება
და მოახსენოს დაწვრილებით შემდეგ ჯალათებს:
ვინ რაზე ფიქრობს, ვის რა უნდა, ვინ რას აკეთებს

მისი წყალობით სავსე არის ციხე-ციმბირი,
დღე არ გაივლის ისე, ერთი მაინც არ გასცეს,
ბევრი ჩაგდო ტანჯვის ცეცხლში მან ხალხის შვილი
ტ, რა თქმა უნდა, საზიზღარი კვლავაც ბევრს მისცემს.
მაგრამ ბოლო დროს მის ხელობას თან გადაყვება
და გამცემელსა უკან ჩვენი ზიზღი წაყვება.

ცისკარს.

ისევ შენ გეტრფი, გიმღერ, ცისკარო,
აღმოსავლეთის შვენებავ, თვალო!
თუმც ღრუბელი კვლავ გადამეფარა,
მთელი სამყარო ბნელმა დაფარა;
მაგრამ მრწამს ისევ გაიკაშკაშებ,
ოქროს ფერ სხივებს შეათამაშებ;
მიფანტ-მოფანტავ, გააქრობ წყვდიადს,
მოგვიახლოვებ ისევ განთიადს.

მაშ ვამობრწყინდი, გამოკრთი მალე,
ტყე-მიდორ-ველი ააელვარე;
სხივთა ისრები სტყორცნე ბოროტ ძალს,
რომელიც გვიდებს მწუხარების ალს;
მიფანტ-მოფანტე, გააქრე ბნელი,
ის საზიზღარი, გულისა მკვლელი!

გვეყოფა ბნელში რაც რომ ვიარეთ,
ტანჯვა-წვალება გამოვიარეთ;
ვზიდეთ უღელი, ვზიდეთ ბორკილი,
ვიკვნეს-ვიტირეთ წელში მოხრილი;
ცრემლებთან ერთათ სისხლიცა ღვარეთ,
ტოლ-ამხანაგნი დავასამარეთ.
აწ დროა გაქრეს შავი წყვიადი
და ჩვენს ცაზე მზე ვნახოთ დიადი!

ზ ე ზ ლ ი ლ ი.

ავი ზამთრის შავი დღეა,
სუსხი სუსხსა ემატება,
ყინვა მეფობს საშინელი
და ბუნება ცრემლით დნება.
ბუქავს, ღმუის ქარიშხალი,
ყველაფერი კვნესის, გმინავს. .
ახლა მხეციც ბუნაგში წევს,
საცოდავათ ზმუის, ღრინავს.
მაგრამ აგერ ეს ვინ არის,
თავ-შიშველი, ფეხ-შიშველი,
მოდის ქალი, კრთის, კანკალებს,
ტანს უფარავს კონკის ძველი;
ხან უმიზნოთ გარბის, გარბის,
ხან უეცრათ შეჩერდება,
ხან წაიშენს ცხვირს და პირში.
ხან გაკივის, ხან მშვიდდება;
ხან აცეცებს ირგვლივ თვალებს,
ხან ერთ წერტილს აჩერდება,
ხან „შორს ჩემგან!“ გაიძახის
და ხის ძირებს ეფარება..
შეშლილია... მაშინ, როცა
„ვერაგ მტრებმა“ ჩვენი მხარე

ცეცხლს და მახვილს მისცეს პირში,
არ დაინდეს ქვრივ—მწუხარე;
ყველაფერი გადაბუგეს;
სისხლით მორწყეს არე-მარე:
გაამეფეს მწუხარება,
ვაება და მოთქმა მწარე.—
ამ ბედკრულის ღარიბ ქოხსაც
თავს დაესხენ მტარვალები,
ყველაფერი მტვრათ აქციეს,
თან წაიღეს წასაღები;
ქმარი თვალ-წინ გაუგმირეს,
გაუჩეხეს ოთხათ თავი;
თვით კი ჯიჯგნეს, თმით ათრიეს,
უღვთოთ სტანჯეს საცოდავი.
ვერ გაუძლო ამ განსაცდელს,
გაჰივრებას საშინელსა
და დაკარგა ჭკუა, გონი,
თავი მისცა ტყეს და ველსა.
და მას აქეთ ასე დაძრწის,
ალარა აქვს მოსვენება,
ყოველ წამში ის სურათი
თვალ-წინ უდგას, ეჩვენება!

სოფელი.

ა მოქუშულა, მზე სხივებს
არ აფრქვევს მოელვარესა,
სევდის ზეწარი ფენია
მიდამოს, არე-მარესა;
თითქო უგრძვნია ბუნებას
ხალხის ტანჯვა და წუხილი
და დაღვრემილა, შემწყდარა
მასში სიცოცხლის დუღილი.

სოფელსა ცეცხლი ეკიდა,
იწვის და იწვის ქოხები,
ტყე-ღრეებს ეფარებიან
ზარ-დაცემული გლეხები.
ამბობენ: „განა სხვა ტანჯვა
არ გვეყოფოდა ბედკრულებს,
რომ ახლა... მოგვადგა,
განადგურებას გვიპირებს?
ჩვენს ღარიბ ქოხმახს ცეცხლს აძლევს,
გვინგრევს, გვიოხრებს კერასა,
არ ზოგავს, არც ქვრივს, არც ობოლს,
გვტანჯავს, გვაწვალებს ყვილასა!
რა დავაშავეთ? რას გვერჩის?
რისთვის გვეპყრობა მტრულათა?!

მწუხარე დედა.

ამე ბნელი,
საზარელი
შეფრობს, არ ჩანს ბადრი მთვარე,
ცას ღრუბელი
აკრავს სქელი,
ბუნებაა მგლოვიარე.
სქელს და გრგვინავს...
სოფელს ძინავს
დღიურ შრომით დაქანცულსა;
დარდ-ნაღველი,
სევდა მწველი
ძილშიაც კი უღრღნის გულსა.
მხოლოთ ქოხს ერთს
ობლათ მდგომელს
ჯერ კვლავ ღვიძავს, კრთის ლამბარი,
თმა გაშლილი,
ფერმიხდილი
მოთქვამს დედა ცოცხალ-მკვდარი:
„შვილო, ჩემო
ნუგეშ მცემო,
აწ კი ჩემთვის დაკარგულო,
. . . . . .

მშობელ დედას შენს შემცქერალს...
    აწ რა ვქნა მე,
    დღე და ღამე
ვიტირო და ცრემლი ვღვარო?
    არა, არა,
    ტანჯვა კმარა!
სჯობს, "შავ მიწას მივებარო!!"
    და ბედკრულს თან
    თვალებიდან
ცხარე ცრემლი ჩამოცურავს,
    სახეს იგლეჯს,
    სისხლსა იდენს,
გულსაკლავათ კვნესის, გმინავს.

ამონაკვნესი.

ნიავო! ლაღათ დაფრინავ,
სითაც გსურს მიეშურები,
ხან ვარდს ეხვევი ყელზედა
ხან ბუჩქებს ესაუბრები;
წინ ვერრა გადაგიდგება,
ყველაფერს თავზე ევლები...
ახ, ნეტავი შენ, ფრთა მარდო,
თავისუფლებით რომ სტკბები!

ნიავო! მეც მსურს შენსავით
ფრთა გაშლით გავინავარდო,
გულში ჩავეკრა ჩემს ყვავილს,
ვნახო წალკოტი სავარდო.
მაგრამ, ეჰ, ძალა ბოროტი
წინ მეღობება წყეული,
არ მიშვებს, არა, სატრფოსკენ
და მწარეთ მიკვნესს მე გული!

ქუჩაზე.

ქუჩის აღზდილმა, ქუჩაზედვე დალია სული:
აქ იყო მისი ასპარეზი, მუდმივი ბინა,
აქვე დაეცა მტარვალთ ხელით გულ განგმი-
რული,
უმანკო სისხლით მორწყო იგი და მიიძინა!
ცოტა იცოცხლა, ბევრი ჭირი გამოიარა,
მაგრამ მას ქედი არავის წინ არ მოუხრია,
თუმცა ღრმა იყო მისი გულის წყლული, იარა,
მაინც მხნეთ იყო, ცხარე ცრემლი არ დაუღვრია!
რა გადიკითხა მან რვეული ჩვენი ცხოვრების,
გაიცნო მისი შინაარსი, მიმართულება,
მყისვე ამართა დროშა მხსნელი, დაჩაგრულების
და შემოსძახა: „ძირს მტარვალი! ძირს ბოროტება!“
მას აქეთია აქ, ქუჩაზე, იბრძოდა იგი,
აქ იყო მისი ასპარეზი, მუდმივი ბინა,
აქვე დაეცა განგმირული, როგორც ტარიგი,
უმანკო სისხლით მორწყო ქუჩა და მიიძინა!

გაზაფხულს.

ქაფრი ზამთარი მძვინვარებს,
თოვლს დაუფარავს მთა-ბარი
და ცრემლათ დნება ბუნება,
სასტიკ სუსხისგან დამჭკნარი.
ოხ, გაზაფხულო სადა ხარ?!
უშენოთ გული მკვდარია,
შავ ფიქრთ ზღვა აწევს გონებას,
სულსა ღრღნის გლოვის ზარია.
მოდი! მახვილი ნესტარი
მკერდში აძგერე ზამთარსა,
სიცოცხლის ძალა უკვდავი
გულზე დაამყენ მთა-ბარსა:
რომ ტყე აყვავდეს, ბუჩქებ ქვეშ
გადაიშალონ იანი,
და მოიქარგონ ათას ფრათ
მინდვრები, გულ-მკერდ ღიანი;
მდელო ამწვანდეს, წალკოტში
გარდაიფურჩქნონ ვარდები,
ბულბულმა ჩანგსა ჩამოკრას,
გაიქროს სევდა-დარდები;
ყინულთ ბორკილი დაიმსხვრეს,
კვლავ აჩუხჩუხდეს ნაკადი,
მიეცეს შვება-სიხარულს
მრავალ ჭირ გადანახადი!

პროლეტარიატის აღსარება.

ნელში ვიდოდით, ვერ ვხედავდით სხივს
მოელვარეს,
მძიმე უღელ ქვეშ საკოდავათ ვიკაკვებოდით,
და მუხლმოყრილნი შველას ვთხოვდით ზე-
ცად მჯდომარეს...
მაგრამ არრისგან განა რასმე ველირსებოდით?!
წელი წელს ცვლიდა, საუკუნე—საუკუნესა,
და ჩვენ კი ისევ მონობაში გვხდებოდა სული,
ვიტანჯებოდით, ჩვენი მოთქმა, წუხილი, კვნესა,
ხეცას წვდებოდა, მიწას რწყავდა ცრემლთ ნაკადული.
და ამ ტანჯვაში აგვეხილა კიდეც თვალები,
შევიგნეთ ნათლათ, რომ ხსნა მხოლოთ ბრძოლაში
არის.
შევაკავშირეთ დაქსაქსული ჩვენი ძალები,
ავმართეთ დროშა დამცემელი მტარვალთ თავზარის
და გამოვედით ბრძოლის ველზე თავგანწირულნი,
ქედმოუხრელათ ვებრძვით მარად ჩვენს სისხლის
მსმელებს,
ვიდრე სრულიად არ მივაღწევთ მიზანს ტანჯულნი,
ძირს არ დავუშვებთ საბრძოლველათ ამართულ ხე-
ლებს!

ამონაკვნესი.

ზაზაფხულდა, კაშკაშა მზემ
შეკრა სხივთა თაიგული,
მთა-ბარს უძღვნა და გაათფო
ზამთრისაგან გაყინული!

და ბუნებაც მსწრაფლ აფეთქდა,
სასიცოცხლო იგრძნო ძალა,
ათას გვარათ აფერადდა,
გაიფურჩქნა, გაიშალა!

სიხარული დაჯდა ტახტზე,
ჩანგათ იქცა თვით სამყარო:
აქ შაშვი სტვენს, იქ—ბულბული...
ხმა გაისმის სანეტარო!

მაგრამ მე კვლავ სევდა მიპყრობს,
ვერ მახარებს გაზაფხული,
შავ ფიქრთ ზღვაში მიმოვცურავ,
მემატება წყლულზე წყლული!

იმტომ, რომ ჩემი სატრფო
მტარვალებს ყავთ ისევ ხელში
და სტანჯავენ, აწამებენ,
თოკს უჭრენ მაგრათ ყელში!

საღამო.

ბალხი ტანჯული, წამებული, მშიერ-მწყურვალე
მძიმე უღელ ქვეშ მწარეთ კვნესდა, მწარეთ გმინავდა,
ხმას ვერ იღებდა, ჰირის ოფლსა ღვრიდა მდუმარე,
და მის თვალებში მწუხარების ცრემლი ბრწყინავდა.
„ძლიერნი ამა ქვეყნისანი“ ტკბილათ ცხოვრობდენ,
დღესა და ღამეს ატარებდენ ფუფუნებაში,
ზეიმი ქონდათ, იმღეროდენ, მხიარულობდენ,
სიცოცხლეს ლევდენ განუსაზღვრელ ნეტარებაში.
ამ დროს იშვა ის... ღარიბ ქოხში გამოიზარდა,
გაიცნო ხალხის გულის წყლული, ჰირი, ვარამი,
აღშფოთდა გმირი, მტარვალთ ომი გამოუცხადა,
რომ ძირს დაემხო მათი ტახტი, მათი ალამი.
მაგრამ შეიპყრეს მოციქული „ძმობა-ერთობის“,
ეკლის გვირგვინი დაადგეს თავს, სტანჯეს, აწამეს
და ჯვარზე აცვეს, დამგმობელი უსამართლობის,
წუთი სოფელსა სამუდამოთ გამოასალმეს.
მოკლეს ის, მაგრამ ჩაგრულთ გულში კვლავ აღსდგა მკვდრეთით!
მისი საქმენი თვალ წინ უდგათ მათ მაგალითად,
და მხნეთ იბრძვიან, მონობის ჯაჭვს ამსხვრევენ მკერდით,
თანვე მღერიან: „ქრისტე აღსდგა აწ ჭეშმარიტად!

ციმბირელის გოდება.

ერომის შვილი შორს, ციმბირში,
გადმომტყორცნა ბოროტ ძალმა,
ტანჯვის ცეცხლს საწამებლათ
მიმცა პირში საზიზღარმა!

თან შიმშილი, თან სიცივე,
მტრობა, დევნა, უგულობა...
ყველა ერთათ მიჭერს ყელში,
თითქო აქვთო შეთქმულობა!

მაგრამ ყველას ავიტანდი,
ვერ გამტეხდა ტანჯვა, ჭირი,
ერთხელ კიდევ რომ მენახა:
მამა, დედა, ცოლი, შვილი;

სამშობლო ცა მოკაშკაშე,
მოქარგული მინდორ-ველი,
მოჩუხჩუხე ნაკადული,
მიწა ჩემი გამომზდელი;

ამხანაგთ გვერდს მოვდგომოდი,
კვლავ მიმეცა ძმურათ ხელი,
მათთან ერთათ დამეძახა:

„ძირს მტარვალი სისხლის მსმელი!
  მაგრამ, ვაი, ეს არ ძალმიძს,
თავს ვერ ვაღწევ მტრის ბასრ ბრძოლებს
და ვეძლევი მწუხარებას,
ცრემლები მწვავს ორთავ თვალებს!
მარა წუხილს ჩაგრულისას
გაიგონებს ვინმე განა,
მაშინ, როცა ზეცა ყრუა
და უგულო—ეს ქვეყანა!?

ხანა ბრძოლაშია.

ველავ ზამთარია: თოვს-და ყინავს,
ძმინვარეებს ყინვა სუზარავ,
საკვირველი მსუყეპლს მისდევს უმანკო,
სისხლით ირწყ�s მთა-ბარი!

ფრთა გაუშლია კაეშანს,
ჩაუნთქავს შვება გულისა,
ცრემლებში გაუხვევია
სხივები სიხარულისა!

მაგრამ მე მაინც მხნეთა ვარ,
არ დამკარგვია იმედი,
არ მივცემივარ ეჭვნეულობისა,
არ დამიხრია ძირს ქედი.

ჭრწამს, მალე გაზაფხულდება,
კაშკაშს იწყებენ სხივები
და აყვავდება ათასფერათ
ტყე, ველი, ბოა და მინდორები.

და ვმღერი, ვმღერი ხმა-მედგრათ:
მხნეთ, მეგობრებო გულისა,
მხნეთ შეეხვდეთ ყოველ განსაცდელს,
ტრფიალნო ვაზაფხულისა!

ნუ შეეუდრკებით შავ ზამთარს
თოვლიან-ყინულიანსა!
წინ, წინ ვავსწიოთ, სალაში
ეუძღვნათ ვაზაფხულს მზიანსა!
ხანა ბრძოლაშია, ბრძოლაში,
ამოო ბოის ცრემლები!
ფეი მას, ვისაც მონურათ
დაუკრეფია ხელები!!

ნანინა.

ეხ, მეც გეტყვი ტანჯვის შვილო
ერთხელ ნანინაო,
ვაი-ვაგლახით მოქარგულს,
ცრემლით განაბანსო!
ჯერი მიგდე, გენაცვალე,
და დაიხსოვნეო
ყველაფერი საოთხაოთ,
რაც რომ გითხრა შეო!
ხელგაწვდილი სოფელ-სოფელ
დავეხეტებითო,
საწყალ გლეხებს ჩვენც მეტ ბარგათ
თავზე ვაწვებითო!
რა გვიჭირდა სამთხოვრო
მაშა რომ გყავდესო,
ბას შენი ძმა, ჩემი ვანო,
მზარს ეშვენებდესო!
ბარა მტარვალთ მსხვერპლთ გახდენ
ორივე ერთათო,
როცა თავისუფლებისთვის
იბრძოდენ შედგრათო!
შენ კი დარჩი ეპატრონოთ
დედის ამარაო,

ხან გშია და ხან გწყურია,
არ გაქვს არარაო!
მაგრამ ტანჯვა ქურა არის,
გაგაფოლადებსო,
და ბრძოლის ცეცხლს დაუშრეტელს
გულში აგინთებსო!
მაშ იზარდე, გენაცვალე,
მწარე ტანჯვაშიო,
ვიდრე [illegible] არ იგრძნო ძალ-ღონე
მშრომელ მაჯაშიო!
მაშინ კი მტერს წინ გადუდექ
სისხლი აიღეო,
თავისუფლების კარები
ძალით გაიღეო!
მარა ახლა დაიძინე
თუ მოგეწყინაო,
და მეც შევწყვეტ ჩემს ნანინას,
იავ-ნანინაო!

ᲐᲛᲝᲜᲐᲙᲕᲜᲔᲡᲘ.

ᲖᲔ ᲓᲐᲓᲔᲑᲣᲚᲘ, ᲨᲣᲥ-ᲛᲝᲔᲚᲕᲐᲠᲔ,
ᲛᲗᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲚᲛᲘᲓᲐᲜ ᲬᲧᲜᲐᲠᲐᲗ ᲓᲐᲪᲣ-
ᲠᲐᲕᲡ,
ᲓᲐ ᲛᲬᲕᲐᲜᲘᲗ ᲛᲝᲡᲘᲚ ᲐᲠᲔ-ᲛᲐᲠᲔᲡᲐ
ᲡᲮᲘᲕᲔᲑᲘᲡ ᲒᲕᲘᲠᲒᲕᲘᲜᲡ ᲗᲐᲕᲖᲔ ᲐᲮᲣᲠᲐᲕᲡ!
ᲢᲧᲔ ᲘᲤᲣᲠᲩᲥᲜᲔᲑᲐ, ᲘᲐ ᲘᲨᲚᲔᲑᲐ,
ᲢᲣᲠᲤᲐᲗ ᲑᲘᲑᲘᲜᲔᲑᲡ ᲔᲖᲝ-ᲛᲘᲜᲓᲝᲠᲘ
ᲓᲐ ᲘᲥᲐᲠᲒᲔᲑᲐ ᲕᲐᲠᲓ-ᲧᲕᲐᲕᲘᲚᲔᲑᲘᲗ
ᲮᲔᲚᲘᲡ ᲒᲣᲚᲘᲕᲘᲗ ᲒᲐᲨᲚᲘᲚᲘ, ᲡᲬᲝᲠᲘ!
ᲒᲠᲘᲚᲘ ᲜᲘᲐᲕᲘ ᲤᲠᲗᲐ ᲒᲐᲨᲚᲘᲗ ᲓᲐᲥᲠᲘᲡ,
ᲪᲔᲚᲥᲘ ᲛᲗᲐᲡ ᲓᲐ ᲑᲐᲠᲡ ᲗᲐᲕᲘᲡᲐ ᲔᲕᲚᲔᲑᲐ
ᲓᲐ ᲨᲠᲘᲐᲚᲝᲑᲔᲜ ᲑᲣᲩᲥ-ᲑᲐᲚᲐᲮᲔᲑᲘ,
ᲤᲝᲗᲝᲚᲘ ᲤᲝᲗᲝᲚᲡ ᲒᲣᲚᲨᲘ ᲔᲙᲕᲠᲔᲑᲐ!
ᲒᲐᲖᲐᲤᲮᲣᲚᲘᲡᲐ ᲛᲐᲮᲐᲠᲝᲑᲔᲚᲘ —
ᲛᲔᲠᲪᲮᲐᲚᲘ ᲛᲓᲔᲚᲝᲡ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲓᲐᲡᲢᲠᲘᲐᲚᲔᲑᲡ,
ᲮᲐᲜ ᲨᲔᲔᲮᲔᲑᲐ ᲛᲐᲡ ᲝᲓᲜᲐᲕ ᲛᲙᲔᲠᲓᲘᲗ,
ᲮᲐᲜ ᲙᲘ ᲰᲐᲔᲠᲨᲘ ᲒᲐᲘᲡᲠᲘᲐᲚᲔᲑᲡ!
ᲐᲥ ᲨᲐᲨᲕᲘ ᲒᲐᲚᲝᲑᲡ, ᲘᲥ ᲙᲘ ᲑᲣᲚᲑᲣᲚᲘ
ᲣᲪᲮᲝ ᲠᲐᲛ ᲮᲛᲐᲖᲔ ᲐᲟᲔᲠᲔᲑᲡ ᲩᲐᲜᲒᲡᲐ,
ᲓᲐ ᲐᲠᲔᲛᲐᲠᲔ, ᲡᲛᲔᲜᲐᲗ ᲥᲪᲔᲣᲚᲘ,
ᲮᲐᲠᲑᲐᲗ ᲧᲣᲠᲡ ᲣᲒᲓᲔᲑᲡ ᲛᲝᲛᲮᲘᲑᲚᲐᲕ ᲰᲐᲜᲒᲡᲐ!
ᲕᲘᲨ ᲠᲐ ᲓᲘᲚᲐᲐ! ᲧᲝᲕᲔᲚ ᲐᲠᲡᲔᲑᲐᲡ

ატკბობს, ანარებს სიცოცხლის ძალა!
დღეს ჩემი გულიც ტკბილათ ატოკდა
და ოცნებამაც ფრთები გაშალა!
მაგრამ, ვაი, რომ წამის გამოდგა
ეს აღტაცება, ეს სიხარული,
თვალ წინ დამიდგა ჩვენი ცხოვრება
ტანჯვის მორევათ დაგუბებული!
და მომაგონდა ტანჯული ხალხი
შავ-ბნელ ძალისგან დამონებული
უსამართლობის სასტიკ ბრჭყალებში
მწარეთ მკვნესარე, დაწყლულებული!..
და მყის დაუშვა ოცნებამ ფრთები,
ზედვე დაემსხვრა სინამდვილის გრდემლს,
და კვლავ აკვნესდა ობოლი სული,
ველარ ვიკავებ მოზღვაებულ ცრემლს!
ოხ, როდის დაკრავს ნეტარი წამი,
ჭირს დაემხობა უსამართლობა
შეწყდება კვნესა, შეწყდება ცრემლი,
გაქრება ჩაგვრა, ძალმომრეობა:
სიმართლის დროშა აფრიალდება,
ტახტზე დაჯდება თავისუფლება
და მის სხივებ ქვეშ ბედნიერების
ტურფა ყვავილი გაიფურჩქნება!

—

ნაკადული და მგოსანი. +

ეუხჩუხით მოქუხს ნაკადი
მაღლიდან დაბლა ბარათა,
თან მოიმღერის ხმატკბილათ
უცხო რამ ჰანგზე წყნარათა:
„სალი კლდის შავ-ბნელ წიაღში
ვიყავი მომწყდეულიო,
გულს კაეშანი მიღრღნიდა,
ნწარეთ მიკვნესდა სულიო.
მაგრამ გავაპე სალი კლდე
გამოვჩქრიალდი გარეთო,
ვიხილე ტურფა ბუნება
აყვავებული მწვანეთო.
მკერდ მოქარგული მთა-ბარი
ლაჟვარდის ფერი ზეცაო
და მასთან ქვეყნის მნათობი—
სხივებ გაშლილი მზეცაო;
ვარსკვლავნი მოციმციმენი,
შუქ მფენი ბადრი მთვარეო
და განთიადი კაშკაშა,
ცისკარი მოელვარეო.
სალამი ვუძღვენ მეგობრებს,
გადავუშალე გულიო,

შიგ ჩავიხატე იმათი
სურათი დიდებულიო.
  და მოვჩქრიალებ, სიხარულს
ვეძლევი სანეტაროსო,
ვადიდებ თავისუფლებას—
ბედნიერების წყაროსო!“
  და მოჩანჩქარებს, მოხტუნავს,
გველივით მოიკლაკნება,
ხანდახან აჩუხჩუხდება
და ხან კი გაინაბება.
  თან შპეფებით რწყავს მიდამოს,
პირსა ბანს ბალახ-ყვავილებს
მის ნაპირებზე ლამაზათ
საამოთ გადაფურჩქვნილებს

  მას თავს ადგია მგოსანი,
შეყურებს აღტაცებული
და აწკრიალებს სიმებსა
ძალზე გულ-ატოკებული.

  მღერის: ნაკადო! ჩვენც შენებრ
გარს გვაკრავს შავი ზღუდეო,
ტანჯვა—წამების სამეფო,
უსამართლობის ბუდეო.
  ვებრძვით და ვებრძვით, მაგრამ ჯერ
ვერ გავარღვიეთ იგიო
და ვერ დავამხვეთ საჰუდმოთ

მისი წესი და რიგიო.
  მაგრამ მრწამს, როცა იქნება,
ჩვენც გავიმარჯვებთ მაზედო,
გავანადგურებთ სრულიად...
და ვნახავთ ჩაგრულთ ცაზედო.
  თავისუფლების დიად მზეს,
თანასწრობის — მთვარესო
და სანეტარო ერთობის —
ვარსკვლავსა მოელვარესო.
  ბედნიერების მნათობებს
გულ-მკერდზე დავიქარგავთო
და მივეცემით სიხარულს,
სევდას შორს გადავკარგავთო".

  და შორს გაისმის უცხო ხმა
სევდიან — იმედიანი,
მას ბანსა აძლევს ბუჩქნარი
შრიალა ფოთლებიანი.
  მთები კი იმეოებენ
ამ საუცხოვო ჰანგებსა
და ტყე-ველს უზიარებენ
აწმყო — მომავლის ამბებსა.

მ ე რ ც ხ ა ლ ს.

ეგებ მისთვის მოჭიკჭიკდი გაზაფხული რომ
გვახარო
და მით, ტანჯულ-წამებულნი, გვანუგეშო,
გაგვახარო?
მაგრამ, უნდა გამოგიტყდე: აყვავება მინდორ-ველის
ჩვენს იარას, გულის ტკივილს ვერ განკურნავს, ვერ
უშველის.
ჩვენ სულ სხვა გაზაფხულს ვნატრობთ მშვენიერს
და სანეტაროს:
მხოლოთ იგი გაგვახარებს და შეგვაშრობს ცრემლთა
წყაროს.



მ თ ა ს.

თავ, ბუმბერაზო! წვერვალი ზეცისთვის მიგიბჯენია,
წამოჯდომიხარ ბარს თავზე, ღვარ-თქაფი მოგივლენია,
უწყალოთ გიწამებია, გულს სევდა მოგიფენია,
ცრემლები მწუხარებისა უზომოთ დაგიდენია...
მაგრამ, ერთხლაც იქნება, ცა რისხვით შუბლსა შეიკრავს,
მოიქუშება შავათა, ელვა გაკრავს და გამოკრავს,
იჭექებს, მეხი ძლიერი საშინლად დაიგრიალებს
და დაგეცემა თავზედა, შეგმუსრავს, გაგატიალებს!

* *

ანთიადი,
ის დიადი
სხივგაშლილი კაშკაშებდა,
ცის კიდური
შუქმოსხმული
ვარდის ფერათ ელვარებდა!
და წყვდიადი
გულ-ზვიადი
სამუდამოთ გვშორდებოდა:
სულს ღაფავდა,
ძალს კარგავდა,
შავ ჯურღმულში ეშვებოდა.
თენდებოდა!
ყველა გრძნობდა
სიხარულს და ნეტარებას,
და ძალთა ძალს,
ვით ნატვრისთვის,
უმღეროდა „ქებათ ქებას“.
მაგრამ ავი
კუპრეპრ შავი
ღრუბელი კვლავ გაიშალა:
დაიფარა
ცის კამარა

და გამეფდა ბნელი ძალა.
ბოროტ-სული
წყეულ-კრული
კვლავ მიეცა ნეტარებას:
ხარობს, ლხინობს,
კრიმანჭულობს...
თან ავრცელებს ბოროტებას.
და ვინც გულით
აგზნებულით
სინათლისკენ მიილტოდა,
გმობდა ბნელსა
საზარელსა,
გაბედულათ მიიბრძოდა,—
დევნის, სტანჯავს,
ჯვარზე აკრავს,
ასმევს ნაღველს, შხამს, სამსალას,
გულს უგმირავს,
სისხლს უყინავს,
სიცოცხლისას აცლის ძალას
მაგრამ მოვა
დრო, ამოვა
ჩვენს ცაზე კვლავ განთიადი
და თვის სხივებს
სტყორცნის ღრუბლებს...
გათენდება დღე დიადი!
მზე შუქმფენი

სანატრელი
გაშლის სხივებს სანეტაროს,
გაანათებს
გაანათლებს
ზესკნელ-ქვესკნელს, მთელ სამყაროს!
მაშ ჩვენც მისკენ,
სინათლისკენ,
გავსწიოთ ქედმოუხრელათ,
დავგმოთ ბნელი
საზარელი
მოვლენილი ჩვენდა მწყვლელათ!
და ბოროტსულს
შეჩვენებულს
მხნეთ ვებრძოლოთ გაბედულად,
ვიდრე საფლავს
ცივსა და შავს
არ გავუთხრით იმას სრულად!!

განცხრომის შვილს.

ეე ვტირი, ვტირი გულ ამოსკვნილი,
მწარეთ მიკვნესის ტანჯული სული
შენ კი იცინი, განცხრომის შვილო!
სიამით გიძგერს ბოროტი გული!

დეე იცინე, იცინე ტკბილათ,
შენთვისაც დაკრავს წამი საკრემლო:
სიმართლის ღმერთი დაჯდება ტახტზე
და მოეღება შენს პარპაშს ბოლო!

მაშინ... ახ, მაშინ მე გავიცინებ,
ამიტოკდება სიამით გული,
შენ კი იტირებ, განცხრომის შვილო,
აგიკვნესდება გახრწნილი სული!

ბოგანოს გლეხის მწუხარება.

ღე და ღამე მიწას დავსცქერ
მოუსვენრათ ვიქნევ თოხსა,
მაგრამ მაინც ვერ ვუშველე
მშიერ ცოლ-შვილს, წახრილ ქოხსა!
ბალღები მთლათ შიშველი მყავს,
ცოლს არა აქვს თავსაფარი,
მე ტანთ ჩოხა არ მაცვია,
და ფეხებზე—ქალამანი!
მაგრამ ამას ვინ დაეძებს
და ვის ესმის ჩემი ჭირი:
კარს მადგიან მათრახებით
მამასახლისი და გზირი.
მიწა მაინც რომ მქონოდა
საკმარისი, საკუთარი
და მყოლოდა ერთი ძროხა
და იმასთან უღლათ ხარი,—
სუყველაფერს გაუძლებდი,
სუყველაფერს ავიტანდი
და ცხოვრების მძიმე უღელს

საფლავამდე მივიტანდი.
  მაგრამ არრა მაბადია,
ბოგანო ვარ, უქონელი,
მხოლოდ ძალა შემრჩენია,
ეს ცოცხალი საქონელი.
  ვყიდი, მაგრამ დღეს იმასაც
აღარა აქვს გასავალი
და, ორ ცეცხლში მომწყვდეულსა,
მეკიდება ჭმუნვის ალი!

*
* *

ეშვენიერი დილა იყო
მომხიბლავი, სანეტარო,
მზე ლაჟვარდში დაცურავდა
კაშკაშებდა მთლათ სამყარო.
ბალში ვარდი იშლებოდა
ბუჩქნარებ ქვეშ ნაზი ია
და ლამაზათ ბიბინებდა
მთა და ბარი, გულ-მკერდ ღია!
ტოტებ გაშლილ კაკლის ხეზე
იჯდა ჩიტი ტურფა, ჭრელი
და გალობდა უცხო ჰანგზე,
ბანს აძლევდა ტყე და ველი.
მე შორიდან შევყურებდი,
მიტოკავდა ძალზე გული
და თან ასე შევნატროდი,
მის ტკბილი ხმით მოხიბლული:
„ნეტავი შენ, ჩიტუნიავ,
თავისუფლათ დანავარდობ,
ხან აქა ხარ, ხან იქა ხარ,
არას ჯავრობ, არას დარდობ!
დედამიწა ქვეშ გიგია,
თავს გახურავს ცა ლაჟვარდი,

კაშკაშა მზე სხივებს გაფრქვევს,
ყნოსვას გიტკბობს ია-ვარდი!
ბედნიერი არსება ხარ,
ლაღათ ცხოვრობ მთათ და ბარად,
ვერვინ გჩაგრავს, ვერვინ გტანჯავს,
ნეტარობ და სტკბები მარად!..
მაგრამ უცბათ მომაგონდა,
რომ მასაც ყავს მჩაგვრელ-მტერი:
ქორ-მიმინო-არწივ-ობი
და ბევრი სხვაც სისხლის მსმელი.
და ამევსო სევდით გული,
მომემატა წყლულზე წყლული
ვთქვი: „ცხოვრება უკუღმართი
ჩაგვრაზეა აგებული!„

კითხვის დაწყებამდე გთხოვთ გაასწორეთ შემდეგი შეცთომანი:

						დაბეჭდილია:		**უნდა იყოს:**
„	12			1	ქვე.	ჩათვლი		ჩათვლილი
„	23			4	მაღ.	მსხვერპლი		მსხვერპლი
გვ.	42	სტრიქონი		6	მაღ.	დავიმარხე		დავიძახე
„	„	„		8	„	ჩაგრულთა		ჩაგრულნო
„	46	„		9	„	გავიცან		გაგიცან
	67	„		13	„	ბოდავს: შორს,		ბოდავს:„ შორს, შორს,
„	70	„		2	ქვე.	ვებრძოლებით		გებრძოლებით
„	„	„		1	„	შეგვაკვდებით		შეგაკვდებით!
„	74			12	მაღ.	გამოზდილო		გამოზდილოო.
„	„			19	„	სამართლისთვის		სიმართლისთვის
„	83	„		8	ქვე.	ცის,		იცის,
„	90	„		6	ქვე.	მიმაშუროთ		მივაშუროთ
„	98	„		11	„	გულ-მკედრი		გულ-მკერდი
„	99	„		1	„	კვნესის		კვნესის და
„	102	„		3	„	უფსკურულში		უფსკრულში
„	„	„		5	„	სასწადელსა		საწადელსა
„	111	„		5	მაღ.	თან ცდილობს		**თან** ცდილობს მარად რომ
„	111	„		8	„	ეიზღება		ეზიზღება
„	„	„		7	„	ხალხის ჭირზე,		ხალხის ვარამზე.
„	112	„		3	„	კვლავ გადამეფარა		კვლავ გადაგეფარა.
„	115	„		1	მაღ.	მოკვდები		მოვკვდები
„	137	„		4	ქვე.	იმეოებენ		იმეორებენ
„	140	„		7	„	ვით ნატვრისთვის მარად,		ვით ნატვრის თვალს რომ

სარჩევი.

სიმღერა	3
ნაწყვეტი	4.
ნაწყვეტი	4.
* * [illegible]	5.
ნაწყვეტი	6.
მე ცოცხალს ვტირი . .	7.
არის ის გასაიცხავი . .	8.
მუშის ღილინი	10.
* * [illegible]	11.
ნაწყვეტი	12.
მგოსნის სიმღერა	13.
ამონაკვნესი	14.
* * [illegible]	15.
ცხვრები და დათვი . .	16.
ვითომდა იგიც ქრისტიანია . .	18.
მეგობარს	20.
* * [illegible]	21.
რა მაღონებს	22.
ჩემი აღსარება	23.
გაზაფხული	24.
სიზმარი	25.
სიმღერა	27.

ცისკარი . 28.
* * * . 29.
დღეს შობაა . . . . 30.
სიმღერა . . . . 32.
საახალწლო სიმღერა . . 33.
მშიერი . . . . 34.
* * * . 37.
№-ს (მიბაძვა-ადანეგრისა) . 40.
საღამო ზღვის პირათ . 41.
* * * . 42.
ლოთი . . . . . 43.
მეჯის გავარდნის წინ . . . 44.
№-ს . . . . . 45.
ნაწყვეტი . . . . . 47.
ორი სურათი . . . . 48.
ჩემი ნატვრა . . . . 50.
ამონაკვნესი . . . . 51.
საღამოდი ქარხანაში, საღამოს სამიკიტნოში 53.
ღარიბის პასუხი . . . . 56.
ლომი და არწივი . . . . 57.
გლახაკი . . . . . 59.
ვაშა . . . . . 60.
ამონაკვნესი . . . . 61.
* * * . 62.
განცხრომის შვილი . . . 63.
* * * . 64.
მეზღვაურების სიმღერა . . . 65.

*** 66.
ქუჩაზე . . . 67.
ზღვას . . . . 69.
სიმღერა . . . . 70.
ავათმყოფის გოდება . . 71.
დედას . . . . 72.
გაზაფხული . . . . 73.
განა ეს მოსათმენია . . 74.
შევარდენი . . . 76.
ბოგანო . . . . 78.
ციმბირში მიმავალი . . . 80.
როკაპის მწუხარება . . . 82.
*** . . . . . 85.
ამონაკვნესი . . . . . 86.
შეგნებული გლეხის სიმღერა . . 87.
*** . 88.
კრება . . . 89.
პროლეტარიატის სიმღერა . 92.
ნაწყვეტი . . . . 93.
ამონაკვნესი . . . . 94.
მტარვალს . . . 97.
გმირის საფლავზე . . . 98.
17 ოკტომბრის სახსოვრათ . 99.
ხსნა ბრძოლაშია . . . 100.
ზღვას . . . 102.
ჩვენ წინ მივდივართ . . 103.
სამაისო . . . . . 104.

შიმშილის მსხვერპლი . . . 105.
ტყვე . . . . . 107.
სოფელში . . . . . 109.
ჩვენი დროის იუდა . . . 111.
ციხკარს . . . . . 112.
სახრჩობელა . . . . 114.
მჭედელი . . . . . 116.
შეშლილი . . . . . 117.
მწუხარე დედა . . . . 119.
ამონაკვნესი . . . . 122.
ქუჩაზე . . . . . 123.
გაზაფხულს . . . . . 124.
პროლეტარიატის აღსარება . . 125.
ამონაკვნესი . . . . 126.
საადგომო . . . . . 127.
ციმბირელის გოდება . . . 128.
სიმართლის ღმერთი ტახტზე დაჯდება 130.
ნანინა . . . 131.
ამონაკვნესი . . . 133.
ნაკადული და მგოსანი . . 135.
მერცხალს . . . 138.
მთას . . . . . 139.
* * . . . 140.
განცხრომის შვილს . . . 143.
ბოგანო გლეხის მწუხარება . . 144.
* * . . . . . 146.